www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 4 ოქტომბერი, 2012 წელი. | №3127 (220) | ფასი 50 თეთრი

"სააკაშვილმა დაამტკიცა, რომ იგი აშენებდა დემოკრატიას"

ქართული არჩევნები უცხოური მედიის თვალით

მარი ახსიაშვილი

საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები უცხოური პრესის ყურადღების ქვეშ იმთავითვე მოექცა. არჩევნებს აფასებს რუსული, ევროპული და ამერიკული პრესა. არჩევნების შედეგები განხილვის საგანია რუსულ ბლოგოსფეროშიც. ძირითადი აქცენტი იმაზე კეთდება, რომ საქართველოში ჩატარებული არჩევნები პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისთვის მოდელი უნდა გახდეს. გარდა ამისა, ჟურნალისტები და ანალიტიკოსები მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებასა და ბიძინა ივანიშვილის სამომავლო გეგმებზეც მსჯელობენ.

"თბილისის ახალი ტიტანი" - ამ სათაურით გამოაქვეყნა სტატია ამერიკულმა გამოცემამ "ფორინ პოლისიმ". სტატიის ქვესათაური კი ასეთია - "ექსცენტრიულმა მილიარდერმა და ეგზოტიკური ცხოველების მოყვარულმა ბიძინა ივანიშვილმა არჩევნების მოგება მოახერხა, მაგრამ არის კი იგი საკმარისად შეშლილი იმისთვის, რომ ქვეყანა მართოს?" სტატიის ავტორის შეფასებით, ოლიგარქი, რომელიც პოლიტიკაში მოსვლამდე სრულ განდეგილობას არჩევდა, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა.

გაგრძელება მე-<None> გვერდზე

ისტორიული არჩევნები

პოლიტიკური შეფასებები უცხოეთიდან

მარი ახსიაშვილი

საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს საერთაშორისო საზოგადოება ეხმაურება. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ქართველ ხალხს არჩევნების წარმატებულად დასრულება და დემოკრატიული განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლა უკვე მიულოცა. თეთრი სახლის პრესმდივნის განცხადებაში, რომელიც ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, პრეზიდენტმა სააკაშვილმა, ბიძინა ივანიშვილმა, კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერებმა და ახალმა პარლამენტმა ეროვნული ერთობის სულისკვეთებით ითანამშრომლონ, რათა დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების გზაზე შემდგომი პროგრესი გარანტირებული იყოს.

ამავე განცხადებაში თეთრი სახლი ჩატარებულ არჩევნებსაც აფასებს და აღნიშნავს, რომ საქართველომ კონკურენტული საარჩევნო კამპანიის ჩატარებით, საკუთარი დემოკრატიული უფლებების თავისუფლად განხორციელებითა და ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემით, მაგალითი უჩვენა მთელ რეგიონს.

"ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის ეუთო-მ და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა, მაქსიმალურად შეუწყეს ხელი არჩევნების გამჭვირვალობას. იმის მიუხედავად, რომ საბოლოო შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა, ეს არჩევნები შეიძლება, ქართული დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის მნიშვნელოვან ნაბიჯად ჩაითვალოს," - წერია განცხადებაში და აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატები საქართველოს გვერდით დგას და ამ ისტორიული არჩევნების ჩატარებას მიესალმება.

გაგრძელება მე-<None> გვერდზე

1 აშშ დოლარი		1.6606⇓
1 ევრო		2.0826⇓
1 ინგლისური გირვანქა		2.6294⇓
1 თურქული ლირა		0.9089⇓
100 რუსული რუბლი		5.1422⇓
თბილისი		28°C - 19°C
ქუთაისი		27°C - 18°C
თელავი		28°C - 14°C
ზუგდიდი		27°C - 18°C
ბათუმი		24°C - 19°C
ნავთობი	3.17	+0.04 +1.25%
გაზი	2.79	+0.04 +1.40%
ოქრო	1,689.30	+32.20 +1.91%
ხორბალი	890.50	-12.50 -1.40%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ოლიმპიური კომიტეტის ხმაურიანი სესია გადავადებით დასრულდა

გიგა გურასაშვილი

ის, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგები ბევრ რამეზე და მათ შორის ქართულ სპორტულ სამყაროზეც იქონიებდა გავლენას, ამას ყველა წინასწარ იყო შეგუებული. ამ მხრივ პირველი მერცხალი გამოდგა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გუშინდელი საანგარიშო-საარჩევნო სესია, სადაც უმთავრესი საკითხი უნდა ყოფილიყო სეოკ-ის პრეზიდენტის არჩევნები. არჩევნები 20 დეკემბრამდე გადაიდო. მისი ერთადერთი კანდიდატი და მოქმედი პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი კი დიდი ალბათობით გადავადებულ არჩევნებში მონაწილეობას აღარ მიიღებს.

გაგრძელება მე-<None> გვერდზე

ბიზნეს ბანერის ფოტო

გია ნაცვლიშვილი: ჩვენ ვართ ოლიმპიური კომიტეტი - პოლიტიკური ორგანიზაცია

პასუხისმგებლობით განმსჭვალული ოპოზიცია

დათო გამისონია

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შემდეგ, "ნაციონალური მოძრაობის" ოპოზიციაში გადასვლის შესახებ, გუშინ პარტიის სიის პირველმა ნომერმა დავით ბაქრაძემ ისაუბრა. პარტიის ცენტრალურ ოფისში "ნაციონალური მოძრაობის" რამდენიმე გამორჩეული ფიგურა ბაქრაძესთან ერთად იმყოფებოდა.

დავით ბაქრაძემ აქცენტი არჩევნების შედეგების გაცნობიერების საკითხზე გააკეთა.

გაგრძელება მე-<None> გვერდზე

მომავალი მთავრობის პროექტი ჯერ მხოლოდ ივანიშვილმა იცის

ნათია მსხილაძე

თუ აქამდე ივანიშვილმა სააკაშვილს გადადგომა ურჩია, გუშინ გააკეთა განცხადება, რომ პრეზიდენტის გადადგომა მისი კოალიციის "პოლიტიკურ მოთხოვნას" ან "ულტიმატუმს" არ წარმოადგენს და მზად არის, სააკაშვილთან და მოქმედ მთავრობასთან დიალოგისთვის, რომელსაც ხელისუფლების შეცვლის პროცესში სამუშაო ჯგუფის მეშვეობით განახორციელებს. ბიძინა ივანიშვილი საჭიროების შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას არ გამორიცხავს, თუმცა არ აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება იყოს ასეთი საჭიროება. **"მე არაერთხელ განვაცხადე, რომ ჩვენ მზად ვართ კონსტრუქციული ურთიერთობებისთვის მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტთან. რაც შეეხება ჩემ მიერ პრესკონფერენციაზე გამოთქმულ მოსაზრებებს პრეზიდენტის გადადგომის შესახებ, ეს არც ჩემი და არც კოალიციის პოლიტიკური მოთხოვნა არ არის.**

გაგრძელება მე-<None> გვერდზე

მასალები მეხსიერების მუზეუმისათვის

ეროვნულ ბიბლიოთეკას საფრანგეთის ემიგრაციის საარქივო მასალები გადაეცა

ბელა ჩეკურიშვილი

ქართული ემიგრაციის თეატრალური დასი

პირველი ქართული რესპუბლიკის დარბაზი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში სულ მალე გაიხსნება, ერთგვარი მეხსიერების მუზეუმი იქნება, რომელიც ყველა პარტიისა თუ ემიგრანტის შესახებ მოგვიყვება, ვისაც 1921 წელს, და მოგვიანებითაც, საქართველოს დატოვება მოუწია. გვინდა, აღვნიშნოთ, რომ პირველ ქართულ რესპუბლიკასა და რესპუბლიკელებზე ფართო საზოგადოებამ, რეალურად, ძალიან ცოტა რამ იცის.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

არჩევნებიდან სამი დღის შემდეგ

ცესკო-ს მონაცემები

3 ოქტომბერს, დღის ბოლოსთვის, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მხოლოდ 22 უბნის მონაცემების დათვლა და, შესაბამისად, გამოქვეყნება ვერ მოასწრო. 3766 უბნიდან უკვე დათვლილია 3744 საარჩევნო უბნის მონაცემები, ანუ საერთო რაოდენობის 99.42 პროცენტი. ამ დროისთვის არსებული ოფიციალური მონაცემებით, 1 180 791 ამომრჩეველის გადაწყვეტილებით, პროპორციულ არჩევნებში კოალიციამ "ბიძინა ივანიშვილი - ქართულმა ოცნებამ" მიიღო ხმების უპირატესი რაოდენობა - 54.93 პროცენტი, ხოლო "ნაციონალურ მოძრაობას - მეტი სარგებელი ხალხს" მხარი დაუჭირა 867 320 ამომრჩეველმა, ანუ 40.35 პროცენტმა.

მაჟორიტარები

არჩევნებიდან სამი დღის შემდეგ საბოლოოდ კიდევ არ იყო განსაზღვრული, ახალ პარლამენტში მაჟორიტარობის რამდენი სადეპუტატო მანდატით შევიდოდნენ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს" და "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება". არჩევნების დასრულებისთანავე გადაწყდა და სადავო არ გამხდარა, რომ საკანონმდებლო ორგანოში დედაქალაქის ინტერესებს დაიცავენ "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნებიდან" არჩეული მაჟორიტარი კანდიდატები: ზაზა პაპუაშვილი; შალვა შავგულიძე; დავით უსუფაშვილი; შოთა ხაბარელი; ალექსანდრე ქანთარია; ზურაბ აბაშიძე; ვიქტორ დოლიძე; ვახტანგ ხმალაძე; თეა წულუკიანი; იოსებ ჯაჭვლიანი.

რეგიონებიდან პარლამენტში "ქართული ოცნების" წარმომადგენლები იქნებიან: საგარეჯო - თინათინ ხიდაშელი; თელავი - გელა სამხარაული; ახმეტა - ზურაბ ზვიადაური; თიანეთი - ზაქარია ქუცნაშვილი; რუსთავი - ზვიად ძიძიგური; მცხეთა - დიმიტრი ხუნდაძე; დუშეთი - ერეკლე ტრიპოლსკი; ყაზბეგი - მირიან წიკლაური; კასპი - დავით ონოფრიშვილი; ქარელი - ლერი ხაბელოვი; ბორჯომი - გედევან ფოფხაძე; ხარაგაული - ნოდარ ებანოიძე; საჩხერე - მანანა კობახიძე; ზესტაფონი - გიორგი ქავთარაძე; ბაღდათი - არჩილ კბილაშვილი; სამტრედია - კახა კალაძე; ჭიათურა - მალხაზ წერეთელი; ტყიბული - ელისო ჩაფიძე; ონი - თამაზ ჯაფარიძე; ქუთაისი - გუბაზ სანიკიძე; ოზურგეთი - ზვიად კვაჭანტირაძე; ლანჩხუთი - თეიმურაზ ჩხაიძე; მესტია - ვიქტორ ჯაფარიძე; ჩოხატაური - თეიმურაზ ჭკუასელი; ფოთი - ეკა ბესელია; ბათუმი - მურმან დუმბაძე და ქობულეთი - ფატი ხალვაში.

უკვე გადაწყვეტილია, რომ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატებმა საბოლოოდ მოიპოვეს სადეპუტატო მანდატები გურჯაანში - გიორგი ღვინიაშვილმა; ლაგოდეხში - გიორგი გოზალიშვილმა; ყვარელში - მარიკა ვერულაშვილმა; გარდაბანში - გიორგი ფეიქრიშვილმა; მარნეულში - აზერ სულეიმანოვმა; ბოლნისში - კობა ნაყოფიამ; დმანისში - კახაბერ ოქრიაშვილმა; წალკაში - რევაზ შავლოხაშვილმა; გორში - გიორგი ტატიშვილმა; ახალციხეში - ვაჟა ჩიტაშვილმა; ადიგენში - ზურაბ ჩილინგარაშვილმა; ახალქალაქში - სამველ პეტროსიანმა; ნინოწმინდაში - ენზელ მკოიანმა; ცაგერში - სერგო ხაბულიანმა; ლენტეხში - გოგი ლიპარტელიანმა; ვანში - პაატა ლეჟავამ; წყალტუბოში - აკაკი ბობოხიძემ; აბაშაში - დავით დარცმელიძემ; სენაკში - გურამ მისაბიშვილმა; მარტვილში - ნაული ჯანაშია; ხობში - გოდერძი ბუკიამ; წალენჯიხაში - ლევან ქარდავამ; ჩხოროწყუში - ვახტანგ ლომონჯავამ; ზუგდიდში - როლანდ ახალაიამ; ქედაში - იაშა შერვაშიძემ; შუახევში - ომარ მეგრელიძემ; ხელვაჩაურში - როსტომ ხალვაშმა და ხულოში - ანზორ ბოლქვაძემ.

დანარჩენი რეგიონები კვლავ სადავო დარჩა, რადგან "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და "ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატები ხმათა თითქმის თანაბარ რაოდენობას ინაწილებდნენ. სადავო იყო თერჯოლის ხმები, სადაც გუშინ დღის ბოლოსთვის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატ კახა ბუცხრიკიძეს 48.78 პროცენტი ჰქონდა, ხოლო "ქართული ოცნების" წარმომადგენელ ზაალ გოგსაძეს - 45.45 პროცენტი. სიღნაღში "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი ლევან ბეჟუაშვილი, ხმათა 48.7 პროცენტით, უსწრებდა "ქართული ოცნების" წევრ გელა გელაშვილს, რომელსაც ხმათა 47.19 პროცენტი ჰქონდა. დედოფლისწყაროში ხმების უპირატესი რაოდენობა დააგროვა ზაზა კედელაშვილმა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" - 49.67 პროცენტი, ამ რაიონში ხმების 47.56 პროცენტი აქვს ალექსანდრე თამაზაშვილს "ქართული ოცნებიდან". სადავოდ რჩება თეთრიწყარო, სადაც დავით ბეჟუაშვილს ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") ამომრჩეველთა ხმების 48.21 პროცენტი აქვს, ხოლო შალვა ხაჭაპურიძეს ("ქართული ოცნება") - 46.22 პროცენტი. ამბროლაურში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობია" კანდიდატი გოჩა ენუქიძე 48.08 პროცენტით მინიმალურად უსწრებს "ქართული ოცნების" წარმომადგენელ დავით დარახველიძეს, რომელმაც ხმების 46.62 პროცენტი მიიღო. კონკურენტებს შორის მინიმალური სხვაობაა ხონშიც - დავით ჭავჭანიძეს ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") დღის ბოლოსთვის დაგროვილი ჰქონდა 48.75 პროცენტი, ხოლო ნიკოლოზ სანოძეს ("ქართული ოცნება") - 46.9 პროცენტი.

გუშინ კვლავ სადავოდ რჩებოდა ხაშური, სადაც "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატმა სერგო ქიტიაშვილმა ხმათა 46.62 პროცენტი მიიღო, ხოლო "ქართული ოცნების" წარმომადგენელმა ვალერი გელაშვილმა - 44.4 პროცენტი.

აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგები

რაც შეეხება აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებს - აჭარის 6 საარჩევნო ოლქში წამყვან პარტიებს შორის - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და "ქართულ ოცნებას" შორის ხმები თანაბრად გადანაწილდა. ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური "ქართულმა ოცნებამ" მოიგო, ხოლო ქედაში, შუახევში და ხულოში "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" გაიმარჯვა. ოფიციალური მონაცემებით, აჭარის უმაღლეს ორგანოში პროპორციული წესით დეპუტატთა მანდატების 49, 7 პროცენტს მიიღებს "ქართული ოცნება", ხოლო 43,8 პროცენტს - "ერთიანი ნაციონალირი მოძრაობა".

რაც შეეხება მაჟორიტარობის კანდიდატებს, გამარჯვებულთა სია ასეთია: ხულოში გაიმარჯვა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდარმა თემურ ბოლქვაძემ, ამავე პარტიის წევრებმა მოიპოვეს ხმათა უმრავლესობა შუახევში - მიხეილ მჟავანაძემ და ქედაში - ირაკლი ბარამიძემ. აჭარის უმაღლეს საბჭოში "ქართული ოცნების" მაჟორიტარები იქნებია: ხელვაჩაურიდან - თემურ კახიძე, ქობულეთიდან - ანზორ თხილაიშვილი და ბათუმიდან - აკაკი ძნელაძე.

ეს არის 3 ოქტომბრისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემი, თუმცა, როგორც ცესკო-ს პრესსამსახურში "24 საათს" განუცხადეს, ეს მონაცემი შეიცვლება 4 ოქტომბერს, გამთენიისას, როდესაც დარჩენილი 22 უბნის მონაცემები უკვე დათვლილი იქნება. საბოლოოდ შედეგი კი 20 ოქტომბერს გამოცხადდება.

ისტორიული არჩევნები

პირველი გვერდიდან

"პრეზიდენტი ობამა და მისი ადმინისტრაცია მოუთმენლად ელოდება საქართველოსთან ახლო თანამშრომლობისა და ორმხრივი მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების გაგრძელებას," - წერია განცხადებაში.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდზე კი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის განცხადება გამოქვეყნდა. კლინტონი საპარლამენტო არჩევნებს ისტორიულს უწოდებს და საქართველოს მოქალაქეებს არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებას ულოცავს. ჰილარი კლინტონი აღნიშნავს, რომ ეს დღე საქართველოს დემოკრატიული მომავლისთვისაც მნიშვნელოვანია. მისი განცხადებით, საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები თავისუფალ და გამჭვირვალე არჩევნებად შეაფასეს, სწორედ ამიტომ, ახლა საჭიროა, გამჭვირვალედ და კანონიერად მოხდეს ხმების საბოლოო დათვლაც და საჩივრების განხილვაც.

"ჩვენ მხარს ვუჭერთ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ორგანიზაციის საარჩევნო-სადამკვირვებლო მისიების შეფასებებს იმის შესახებ, რომ ქართველმა ხალხმა ნამდვილად თავისუფლად გამოხატა თავისი აზრი საარჩევნო ყუთთან. მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ხმების საბოლოო დათვლა და საჩივრების განხილვა გამჭვირვალედ და კანონიერად აწარმოოს," - ამბობს კლინტონი.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი საქართველოს ახალ პარლამენტთან, ახალ კაბინეტთან და საქართველოს პრეზიდენტთან თანამშრომლობის მზადყოფნასაც გამოთქვამს.

"ახლა, როცა ყველა პარტიას ვესაუბრეთ, აშშ ხელს შეუწყობს ყველა პარტიის კონსტრუქციულ მუშაობას ახალ პარლამენტში, რათა გაძლიერდეს საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარება. ჩვენ მოუთმენლად ველით საქართველოს ახალ პარლამენტთან, ახალ კაბინეტთან და საქართველოს პრეზიდენტთან თანამშრომლობას, რათა კიდევ უფრო გამყარდეს ჩვენი ისედაც მყარი ურთიერთობები," - აღნიშნავს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი.

ქართველ ხალხს კონკურეტულ არჩევნებს ულოცავს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ფილიპ გორდონიც. მისი შეფასებით, ეს იყო ისტორიული არჩევნები საქართველოსა და რეგიონისთვის.

"თუ მხარეები მოქმედებას კანონის უზენაესობით და პატივისცემით გააგრძელებენ, ეს მსოფლიოსთვის მოდელი იქნება. მხარეების ერთად მუშაობა მათ ინტერესებში შედის და ჩვენც გვინდა, ასე იყოს. სრულყოფილ დასავლურ დემოკრატიებსაც, მათ შორის აშშ-ს, უწევთ პოლიტიკური თანაცხოვრების ისეთი პერიოდის გავლა, როდესაც ერთი პარტიის ლიდერს ოპოზიციური პარტიის ლიდერებთან მუშაობა უხდება. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ დროს ორივე მხარე პატივს სცემს კანონს. მათ შორის არის განსხვავებები, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდის დროს იჩენს თავს. არც არავინ ელოდება, რომ ეს განსხვავებები აღმოიფხვრება, რადგან თუ მხარეები პატივს სცემენ კანონის უზენაესობას, ქვეყანა უფრო ძლიერი იქნება. ჩვენ სწორედ ამას ველოდებით საქართველოში," - განაცხადა ფილიპ გორდონმა.

გარდა ამისა, საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შსახებ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს საგარეო ურთიერთობებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ქეთრინ ეშტონმა და ევროკომისარმა შტეფან ფულემ.

"ევროკავშირი ულოცავს კოალიცია "ქართულ ოცნებას" არჩევნებში გამარჯვებას. ეს ქართველმა ხალხმა გადაწყვიტა. დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელია პასუხისმგებელი მთავრობისა და კონსტრუქციული ოპოზიციის არსებობა. ჩვენ მოვუწოდებთ ახალი პარლამენტის ყველა წევრს, ერთად იმუშაონ საქართველოს ინტერესებისთვის. პოზიტიურად ჩატარებული არჩევნები და ამომრჩევლის მაღალი აქტივობა ხაზს უსვამს ქვეყნის მიერ დემოკრატიული კურსის შენარჩუნებას. ჩვენ ვიღებთ "ოდირ"-ის დაკვირვების ანგარიშს, რომელშიც აღნიშნულია, რომ არჩევნების პროცესმა დემოკრატიისა და თავისუფლების მიმართ პატივისცემა აჩვენა," - აღნიშნულია ევროკავშირის წარმომადგენლების განცხადებაში. კეტრინ ეშტონი და შტეფან ფულე მზად არიან, პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მხრივ საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობები გააგრძელონ. გარდა ამისა, კომენტარი გააკეთა კეტრინ ეშტონის სპიკერმა მაია კოსიანჩიჩმა. მან აღნიშნა, რომ ევროკავშირი გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას საქართველოსთან და განზრახული აქვს, განაგრძოს საქართველოსთან პოლიტიკური და ეკონომიკური დაახლოების კურსი.

ქართული არჩევნების შესახებ ევროპარლამენტის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ მილან ჩებრნოხის სპეციალური განცხადება ევროპარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა. ევროპარლამენტის დამკვირვებლები საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს პროგრესულ ნაბიჯად აფასებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ხმის მიცემის პროცესში გარკვეული ხარვეზებიც გამოვლინდა.

"მიღწეული პროგრესი განსაკუთრებით გამოვლინდა ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებებისადმი სათანადო პატივისცემაში, რამაც განაპირობა ამომრჩევლის აქტიური მონაწილეობა და პოლარიზებული, მაგრამ კონკურენტუნარიანი საარჩევნო კამპანიების ჩატარება," - განაცხადა მილან ჩებრნოხმა და აღნიშნა, რომ საქართველო ევროკავშირისათვის მნიშვნელოვანი პარტნიორია.

"ვიმედოვნებთ, რომ პარლამენტის წევრები, იქნებიან ისინი ოპოზიციისა თუ მთავრობის წევრები, ჯეროვნად გამოიყენებენ თავიანთ პრივილეგიას და გააგრძელებენ დემოკრატიისა და რეფორმების გზას," - განაცხადა ჩებრნოხმა.

თავისუფალი, კონკურენტუნარიანი და მშვიდობიანი არჩევნების დასრულება ქართველ ხალხს ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმაც მიულოცა.

"ეს არის ისტორიული მომენტი საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაში. ახლა მნიშვნელოვანია, რომ ყველა მხარემ ერთად იღვაწოს ქვეყნის საკეთილდღეოდ; განახორციელონ რეფორმებისა და დემოკრატიული ინსტიტუციების შემდგომი კონსოლიდაცია. ნატო საქართველოსთან ახლო ურთიერთობების პოლიტიკის ერთგულია და განზრახული გვაქვს, ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გავამყაროთ," - ნათქვამია ნატო-ს გენერალური მდივნის განცხადებაში.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ღეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

პასუხისმგებლობით განმსჭვალული ოპოზიცია

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, ოპოზიციაში გადასვლა სამართლებრივი და ტექნიკური პრობლემა არ არის, ეს მენტალური საკითხია, რომლის დაძლევას საქართველოში დღემდე ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ ახერხებდა. **"ნაციონალურმა მოძრაობამ" სახელისუფლებო გუნდის ოპოზიციაში გადასვლის პრეცედენტი შექმნა,** - შენიშნავს დავით ბაქრაძე და დასძენს, - **ვამაყობთ იმით, რომ ამას ვახერხებთ და სხვა პოლიტიკურ ძალებს მაგალითს ვაძლევთ."** მისი თქმით, მომავალ საქართველოში ყოველთვის ყველა პოლიტიკური ძალა აღიარებს და დაემორჩილება არჩევნების შედეგებს. როგორც ბაქრაძე აღნიშნავს, "ნაციონალური მოძრაობა" ის ძალაა, რომელმაც ქაოსიდან და სიბნელიდან ქართული სახელმწიფო შექმნა. დავით ბაქრაძის თქმით, პარტია ხალხის უმრავლესობის არჩევანს აღიარებს და პატივს სცემს. მან, "ნაციონალური მოძრაობის" სახელით, განაცხადა, რომ პარტია პარლამენტში შედის და იმუშავებს, როგორც საპარლამენტო ოპოზიცია. **"ამას საქართველოს სახელმწიფოს ინტერესი, ქართული დემოკრატია მოითხოვს,"** - აღნიშნავს ბაქრაძე.

ბაქრაძე ამბობს, რომ "ნაციონალური მოძრაობა" პოლიტიკური კრიზისის შექმნას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი კონსტიტუციით ამის ყველანაირი მექანიზმი არსებობს. **"ბატონმა ივანიშვილმა თქვა, რომ ის ჯერ კიდევ ვერ გაერკვა საქართველოს კონსტიტუციაში. მინდა, გესმოდეთ - პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტი წარადგენს. პრეზიდენტ სააკაშვილს კონსტიტუციურად არაფერი უშლის ხელს, რომ წარადგინოს ვანო მერაბიშვილის მთავრობა, რომელსაც ახალი პარლამენტი არ დაამტკიცებს. ამას მოჰყვება პოლიტიკური კრიზისი, რაც 6 თვეში რიგგარეშე არჩევნებს გამოიწვევს. კონსტიტუციით ამის გაკეთება შესაძლებელია, თუმცა ამას არ ვაკეთებთ, რადგან ქართველი ხალხის არჩევანს და ქართულ სახელმწიფოს პატივს ვცემთ. ამიტომ, ველოდებით, რომ ჩვენი ოპონენტებიც ელემენტარულ პატივისცემას გამოიჩენენ ქართული სახელმწიფოსა და კონსტიტუციის მიმართ,"** - განაცხადა ბაქრაძემ. ის ივანიშვილის მიერ პრეზიდენტისთვის მიცემულ რჩევასაც ეხმიანება, რომელიც გადადგომას ეხება. ბაქრაძეს მიაჩნია, რომ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბარი ქართველი ხალხის უპატივცემულობა და კონსტიტუციის დარღვევაა. **"ჩვენი გადაწყვეტილებით მაგალითს ვაჩვენებთ, როგორ უნდა ვცეთ პატივი ხალხის აზრს, სახელმწიფოს და დემოკრატიას. ვეღოდებით, რომ "ქართული ოცნებაც" ანალოგიურად მოიქცევა,"** - ამბობს დავით ბაქრაძე.

პარლამენტის თავმჯდომარემ ისიც აღნიშნა, რომ მისთვის ოპოზიციის როლი ცოტა უჩვეულოა, მაგრამ იქვე დასძინა: **"გავივარჯიშებ და როგორც ოპოზიციონერი გეტყვით, რომ ქვეყანაში ყველა მიმართულებით პრობლემებს ველოდებით."** მისი თქმით, პრობლემები იქნება როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკაში. **"ძალიან მაინტერესებს, როგორ შეასრულებს კოალიცია იმ სოციალურ დაპირებებს, რომლებსაც ის საარჩევნო კამპანიის პერიოდში უხვად გასცემდა. მერწმუნეთ, ჩვენ სათითაოდ ჩავუჯდებით ყველა დაპირებას, თუ რამდენად შეასრულებს "ოცნება". ამას ნამდვილად არ უშველის თავის დაზღვევა და იმაზე საუბარი, რომ თურმე ბიუჯეტი ცარიელია. ბიუჯეტი არ იყო ცარიელი; ყველას კარგად ახსოვს, რომ სექტემბრის მდგომარეობით არ ყოფილა არც ერთი დავალიანება, არანაირი გაუცემელი თანხა და ფინანსურად ყველაფერი წესრიგში იყო. ამიტომ, როგორც ოპოზიცია, დეტალურად გავაკონტროლებთ, რას და როგორ შეასრულებს "ქართული ოცნება",** - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

კრიტიკის პარალელურად, ბაქრაძე "ნაციონალური მოძრაობისა" და "ქართული ოცნების" მომავალი ურთიერთობების შესახებაც საუბრობს. როგორც დავით ბაქრაძე აღნიშნავს, ყველა იმ საკითხში, რომლებიც ქვეყნის უკეთეს მომავალს სჭირდება, "ნაციონალური მოძრაობა" "ქართულ ოცნებასთან" თანამშრომლობისთვის მზად არის. **"არც მე და არც ჩემს მეგობრებს იმის კომპლექსი არ გვაქვს, უმრავლესობასთან თანამშრომლობის იმიტომ შეგვრცხვეს, რომ ვიღაც რაღაცას დაგვაბრალებს,"** - ამბობს ბაქრაძე და შესაძლო საერთო ინტერესების შესახებ საუბრობს: **"ღირებულებების შესახებ ყოველთვის ღიად ვსაუბრობდით. ჩვენი ღირებულებაა, რომ საქართველო ევროპული ოჯახის წევრი იყოს და ნატო-ში გაწევრიანდეს. თუ "ქართული ოცნება" ამავე ღირებულებაზე დგას, ეს ის საკითხი იქნება, სადაც პირადად მე თანამშრომლობისთვის მზად ვიქნები. ჩვენი ღირებულება ასევე იყო საქართველოს წინსვლა და ის, რომ ქვეყანაში მხედრიონი, ქურდული სამყარო და კორუფცია არასდროს დაბრუნდეს."**

1 ოქტომბრის არჩევნების შეფასებისას კი დავით ბაქრაძემ აღნიშნა, რომ საპარლამენტო არჩევნები დიდი და სერიოზული გამოცდა იყო, რომელიც ქართულმა სახელმწიფომ ღირსეულად ჩააბარა. **"ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენ ვართ განვითარებული, დემოკრატიული და ცივილიზებული ერი. მადლობას ვუხდი მას იმ ღირსებისა და ორგანიზებულობისთვის, რომელიც არჩევნებზე გამოიჩინა. მადლობა ჩვენს მხარდამჭერებსაც, რომლებსაც "ნაციონალური მოძრაობის" ღირებულებების სჯერათ. 8 წლის განმავლობაში ჩვენ ქართულ სახელმწიფოს და დემოკრატიას ვაშენებდით. არჩევნებმა გამოაჩინა, რომ როგორც ქართული სახელმწიფო, ისე დემოკრატია შედგა. "ნაციონალური მოძრაობის" მოვალეობაა, იბრძოლოს იმისთვის, რომ საქართველომ გააგრძელოს წინსვლა და არასდროს დაბრუნდეს უკან. ჩვენ ვართ ის ძალა, რომელიც დღეს ყველას პასუხისმგებლიანი ქცევის მაგალითს აძლევს,"** - აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

გრიგოლ ვაშაძე საქართველოში აშშ-ს ელჩს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე საქართველოში აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს რიჩარდ ნორლანდს შეხვდა. დახურულ კარს მიღმა მიმდინარე საუბრისას, მათ საქართველოში გამართულ საპარლამენტო არჩევნებსა და საქართველო-აშშ-ს პარტნიორულ ურთიერთობებზე იმსჯელეს. დიპლომატებმა აღნიშნეს, რომ ორი ქვეყნის სტრატეგიული კავშირი და თანამშრომლობა უნდა შენარჩუნდეს და გაგრძელდეს.

"საქართველო-აშშ-ს ურთიერთობები გაგრძელდება და რაიმე დრამატულ ცვლილებებს არ ველით. ამ საკითხის განხილვის შესაძლებლობა ბიძინა ივანიშვილთანაც მქონდა. არჩევნების პროცესს ყველა ყურადღებით აკვირდება და ხელისუფლების გადაცემის ნორმალურად წარმართვას ელის," - განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

გრიგოლ ვაშაძის თქმით კი, კონსტიტუციერი გზით ხელისუფლების გადაცემა უახლოეს მომავალში მოხდება.

"ყველაფერი პოზიტიური უნდა შენარჩუნდეს. მათ შორის, საქართველო-აშშ-ს სტატეგიული ურთიერთობა. ბატონ ნორლანდთან ვისაუბრეთ, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს სტრატეგიაზე მუშაობა და რა უახლოესი ამოცანები იგეგმება ორი ქვეყნის დიპლომატიურ ურთიერთობებში," - განაცხადა ვაშაძემ. მისივე თქმით, მსოფლიო მედიის მთავარი გზავნილია ის, რომ კიდევ ერთხელ დაიმსხვრა საქართველოს არაკეთილმოსურნეების მიერ გავრცელებული მითი, თითქოს მიხეილ სააკაშვილი მოდერნაიზერია და არა - დემოკრატი.

"საქართველო 2003 წლიდან იქცა განვითარებულ ქვეყნად, რომელსაც ყველა სფეროში უზარმაზარი პროგრესი აქვს. ხოლო ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი პირადად იქცა იმის გარანტად, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მშვიდობიანი კონსტიტუციური გზით ხდება ხელისუფლების გადაცემა," - განაცხადა ვაშაძემ.

ჟურნალისტების შეკითხვას, ითანამშრომლებს თუ არა გრიგოლ ვაშაძე შემოთავაზების შემთხვევაში ახალ მინისტრთა კაბინეტთან, მან უპასუხა, რომ ოფიციალურად გაწევრიანდა "ნაციონალურ მოძრაობაში".

"ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული" - დავით გამყრელიძე პოლიტიკიდან წავიდა

"ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ პარტია დატოვა და პოლიტიკიდან წავიდა. ამის შესახებ გუშინდელ ბრიფინგზე თავად გამყრელიძემ განაცხადა. მისი თქმით, პარტიის თავმჯდომარის მოვალეობას აღმასრულებელი მდივანი რევაზ სოხაძე შეასრულებს. უახლოეს მომავალში კი "ახალი მემარჯვენეები" შეხვედრას გამართავენ და ახალ თავმჯდომარეს აირჩევენ.

"ერთგული ვარ ჩემი სიტყვის, როგორც ყოველთვის. მე ვთქვი, რომ თუ პარტია ბარიერს ვერ გადალახავდა და პარლამენტში ვერ მოხვდებოდა, პარტიის თავმჯდომარედ ვერ დავრჩებოდი. ამიტომ, ვტოვებ "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარის პოსტს. ეს არის ჩემი ბოლო საჯარო გამოსვლა. ამიერიდან ჟურნალისტებს კომენტარებს აღარ მივცემ, რისთვისაც ბოდიშს გიხდით. ჩემი აზრით, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული," - განაცხადა გამყრელიძემ.

"ახალი მემარჯვენეების" უკვე ყოფილი ლიდერი წუხს, რომ 1 ოქტომბრის არჩევნების დროს კონსტრუქციული პოლიტიკის ადგილი აღარ დარჩა და ორ გუნდს შორის სერიოზული პოლარიზება მოხდა.

"სამწუხაროდ, საზოგადოებაში ცოტა ადამიანი დარჩა, რომელმაც აქცენტი "მემარჯვენეებზე" და ჩვენს ზომიერ, კონსტრუქციულ პარტიაზე გააკეთა. მინდა, თითოეულ მათგანს მადლობა გადავუხადო," - აღნიშნა გამყრელიძემ.

მან "ქართულ ოცნებას" და პირადად ბიძინა ივანიშვილს გამარჯვება მიულოცა და ქვეყნის საკეთილდღეოდ წარმატება უსურვა.

"ვისურვებდი, რომ "ქართულ ოცნებას" ის უზარმაზარი ნდობა გაემართლებინოს, რაც ხალხისგან მიიღო. იმედი მაქვს, დანაპირები თავისუფალი სასამართლოს, მედიისა და ბიზნენის, ასევე, რაც მთავარია, იმის შესახებ, რომ საგარეო პოლიტიკური კურსი არ შეიცვლება, შესრულდება. იმედი მაქვს, რომ საქართველოს წინსვლის მოწმენი გავხდებით," - აღნიშნა გამყრელიძემ.

მან ქართველ ხალხსაც მიულოცა და შენიშნა, რომ საქართველოს ისტორიაში ხელისუფლება არჩევნების გზით პირველად შეიცვალა. გამყრელიძემ იმედი გამოთქვა, რომ ეს შემთხვევა უკანასკნელი არ იქნება და ხელისუფლების არჩევნებით შეცვლა პრაქტიკად იქცევა.

"ახალი მემარჯვენეების" ყოფილმა თავმჯდომარემ საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ეს მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი ღირსეული ნაბიჯი იყო. მან აღნიშნა, რომ რვა წლის განმავლობაში სააკაშვილის მწვავე ოპონენტი იყო და ყოველთვის მიაჩნდა, რომ არასწორი მეთოდებით მოქმედების გამო ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა.

"მაგრამ გუშინდელი მისი ნაბიჯი ერთ-ერთი ღირსეული ნაბიჯი იყო არა მხოლოდ მისთვის, არამედ ჩვენი ქვეყნისთვის. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ვნახავდი სააკაშვილს ამ გამოსვლით, როდესაც სხვას გამარჯვებას მიულოცავდა და ღიად ოპოზიციაში გადავიდოდა," - აღნიშნა გამყრელიძემ და დასძინა, რომ სურს, სააკაშვილმა და მთლიანად "ნაციონალურმა მოძრაობამ" ეს სახე და პოზიცია შეინარჩუნონ და პარლამენტი, მინიმუმ, ორპოლუსიანი, ორპარტიული და კონკურენტუნარიანი იყოს.

მომავალი მთავრობის პროექტი ჯერ მხოლოდ ივანიშვილმა იცის

პირველი გვერდიდან

მე აღვნიშნე მხოლოდ ის, რომ ერთი პირის ინტერესებზე მორგებული საქართველოს კონსტიტუცია შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში საკმაოდ ბევრ სირთულეს ქმნის და ამ ვითარებაში შესაძლოა, თანამდებობიდან გადადგომა პრეზიდენტისთვის საუკეთესო გამოსავალი იყოს. ამის შესახებ კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ ჩვენ არ ვაყენებთ არანაირ პოლიტიკურ ულტიმატუმებს და ქვეყნის საკეთილდღეოდ მზად ვართ, საქართველოს პრეზიდენტთან და მოქმედი მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან დიალოგისა და სამუშაო ვითარებაში სახელმწიფოებრივი საკითხების მოგვარებისთვის," - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია ახალ საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციის წარმომადგენელ პრეზიდენტს შორის ურთიერთობებს გარდაუვალს ხდის. კონსულტაციების წარმოების მიზნით შეიქმნა კოალიციის სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან ირაკლი ალასანია, დავით უსუფაშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი. **"საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ კოალიცია "ქართული ოცნება" შეუდგა მასზე ქართველი ხალხის მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, უზრუნველვყოთ კონსტიტუციური წესრიგი და სახელმწიფო ორგანოების შეუფერხებელი მუშაობა ხელისუფლების შეცვლის პროცესში. ამასთანავე, ახალი მთავრობის ფორმირებამდე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და სახელმწიფო ორგანოების გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოქმედ მთავრობას,"** - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ქართულ მედიაში ვრცელდებოდა ვერსიები ახალი მთავრობის სავარაუდო კანდიდატების შესახებ. თავად ივანიშვილი აცხადებს, რომ მას უკვე აქვს მთავრობის დაკომპლექტების პირველი პროექტი, რომლის შესახებ ჯერ არავინ იცის და რომელსაც მოგვიანებით თავის გუნდს წარუდგენს. **"მთავრობის წევრების კანდიდატების შესახებ ჩემ გარდა არავინ არ იცის. ჩემი ჯგუფის არც ერთმა წევრმა არ იცის, ვის რას ვუპირებ. პირველი პროექტი მე მაქვს, რომელსაც წარვუდგენ ჩემს გუნდს. დავიწყებთ განხილვას და შეიძლება, ძალიან შეიცვალოს,"** - განაცხადა ივანიშვილმა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, მთავრობის შემადგენლობაში ვიხილოთ "დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი ნინო ბურჯანაძე. **"ბურჯანაძის შესახებ არავითარი გეგმა არ მაქვს დღესდღეობით,"** - განაცხადა ივანიშვილმა

კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერ დავით უსუფაშვილის განცხადებით, მთავრობის ახალი წევრების შესახებ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას კოალიციის გეგმებთან საერთო არაფერი აქვს.

როგორც დავით უსუფაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამაჟამად დღის წესრიგში არა მთავრობის დაკომპლექტების, არამედ არჩევნების შესახებ არსებული საჩივრების განხილვაა. **"საქართველოში, როგორც ჩანს, დღეს ყველა დაკავებულია ახალი მთავრობის შექმნით, "ქართული ოცნების" გარდა. ამ ეტაპზე "ქართული ოცნების" საზრუნავია იმ საჩივრების განხილვა, რომლებიც მათ არჩევნებზე დაფიქსირებული დარღვევების შესახებ აქვთ. ყველა საჩივარს კანონიერი მეთოდების შესაბამისად განვიხილავთ. რაც შეეხება მთავრობის დაკომპლექტებას, ეს, დაახლოებით, 2 კვირის შემდგომი პროცესია, იქამდე კი ნებისმიერ გვარს ან ნებისმიერ ვერსიას, რომლებიც მედიაში ვრცელდება, "ქართული ოცნების" მოსაზრებებთან საერთო არაფერი აქვთ,"** - აღნიშნა "რესპუბლიკელების" ლიდერმა დავით უსუფაშვილმა.

რაც შეეხება საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფს, რომელიც მთავრობასთან და პრეზიდენტთან კონტაქტისთვის შეიქმნა, დავით უსუფაშვილის განმარტებით, სამუშაო ჯგუფი მოქმედი მთავრობის წარმომადგენლებსა და პრეზიდენტს პირველივე საჭიროების შემთხვევაში შეხვდება.

უკვე დაგეგმილია ბიძინა ივანიშვილის პირველი საერთაშორისო ვიზიტი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება. ივანიშვილის განცხადებით, მან უკვე როგორც ვაშინგტონიდან, ისე ევროპიდან ბევრი ოფიციალური მოწვევა მიიღო.

"კოალიციის წევრებთან ვისაუბრეთ იმაზე, რომ მრავალი მოწვევა მაქვს როგორც ვაშინგტონიდან, ასევე ევროპიდან. ორი დღის წინ ქეთრინ ეშტონსაც ვესაუბრე, მაგრამ ოფიციალური მოწვევების მიუხედავად, გადავწყვიტე, ცოტა ხნით ეს ვიზიტები არ განხორციელდეს. როგორც მოგეხსენებათ, აშშ თავად საარჩევნო პროცესშია და არჩევნებისთვის ემზადება, დღეს კი პრეზიდენტების კანდიდატებს შორის პირველი დებატები იმართება. შესაბამასად მივიჩნიეთ, რომ საარჩევნო პერიოდში სტუმრობა ფასს დაკარგავდა. ამიტომ, ვიდრე არჩევნები არ ჩაივლის, არ გავემგზავრები. ასევე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ პირველი ვიზიტით არც ერთ სხვა ქვეყანაში არ ჩავალ - ის ვაშინგტონში გაიმართება," - აღნიშნა ივანიშვილმა.

"სააკაშვილმა დაამტკიცა, რომ იგი აშენებდა დემოკრატიას"

პირველი გვერდიდან

"უკანასკნელ წლამდე ჩვენ ისიც კი არ ვიცოდით, როგორ გამოიყურებოდა იგი - არ ესწრებოდა საზოგადოებრივ ღონისძიებებს, გაურბოდა საჯაროობას და თავის შთამბეჭდავ საქველმოქმედო საქმიანობასაც უჩუმრად და ანონიმურად ეწეოდა. ერთი სიტყვით, ზებრებისა და ხელოვნების ექსცენტრიული სიყვარულის გარდა, ბიძინა ივანიშვილის შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდით. მაგრამ არჩევნებში მისი გამარჯვების შემდეგ პირველივე პრესკონფერენციიდან ერთი რამ ნათლად გავიგეთ: ორატორად ნამდვილად არ გამოდგება," - წერს სტატიის ავტორი შონ უოლკერი. ავტორის აზრით, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება და სავაჭრო-კულტურული კავშირების დალაგება საჭიროა, მაგრამ არა სააკაშვილის მიერ არჩეული, ნატო-სთან დაახლოების კურსიდან გადახვევის ხარჯზე.

"საერთო კონსენსუსი ამ მომენტში ის არის, რომ ეს საარჩევნო კამპანია, მიუხედავად მისი ღვარძლიანი და ცინიკური ხასიათისა, ისე დასრულდა, როგორც ქართული დემოკრატიის უზარმაზარი რეკლამა. ამ რეგიონში არც ისე ბევრი ქვეყანაა, სადაც შეიძლება, ძლიერი პრეზიდენტის ძალაუფლებას საარჩევნო ყუთთან დაესვას ნერტილი. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პოლიტიკის ისტორიისთვის უცხო არ არის მორიგი მესიის მოსვლით აღტაცებული დღესასწაული, სანამ იმედგაცრუების მოკლე პერიოდი დადგება. ახლა ივანიშვილისთვის მთავარ გამოცდას მისივე ახლად გამარჯვებული კოალიცია წარმოადგენს, რომლის ჭრელი შემადგენლობაც ლიბერალებიდან ულტრანაციონალებამდე მერყეობს - ახლა, როცა საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად ბრძოლის აუცილებლობა აღარ არსებობს. ნეტავ რა დრო გავა, სანამ ვიხილავთ ამგვარ სათაურს: "ქართული ოცნება ქართულ კოშმარად გადაიქცა?" ალბათ, არცთუ დიდი ხნის ლოდინი მოგვიწევს, თუკი ივანიშვილი ახალი პოლიტიკური უნარების სწრაფად შეძენას ვერ მოახერხებს," - წერს ჟურნალისტი.

ასევე ამერიკული გამოცემის "უოლ სტრიტ ჯორნალის" ანალიტიკურ რუბრიკაში კი, ჯეიმს კირჩიკის ავტორობით გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით - "რუსული გამარჯვება საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში". ავტორი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო დამკვირვებლების უმრავლესობა არჩევნების შედეგით გაოცებულია.

"ორშაბათს, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის - საქართველოს ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, რომელიც საერთაშორისო დამკვირვებლებმა ქვეყნის ისტორიაში ყველაზე კონკურენტულ არჩევნებად აღიარეს. შედეგებმა ამ დამკვირვებლების უმრავლესობა გააოცა, რადგან მილიარდერი ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციურმა კოალიციამ "ქართულმა ოცნებამ" პროდასავლური, ამერიკული განათლების მქონე მიხეილ სააკაშვილის მმართველი პარტია დაამარცხა," - წერს ჯეიმს კირჩიკი და აღნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილი თავისი ქონებით პუტინის რეჟიმისგან დავალებულია. კირჩიკის შეფასებით, ძალაუფლების მშვიდობიანი გზით გადაბარება არა მხოლოდ ქართული დემოკრატიის ზეიმია, არამედ ეს რუსეთის გამარჯვებაც არის. ანალიტიკოსის აზრით, ახალი მთავრობის მმართველობის პერიოდში მოსკოვი საქართველოში საკუთარ გავლენას გაზრდის.

"ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ქონება 90-იანი წლების პოსტსაბჭოთა ეკონომიკის პრივატიზების დროს დააგროვა, ისეთ მიმართულებას აიღებს, რომ საქართველო მოსკოვის გავლენის სფეროს დაუბრუნდეს" - წერს "უოლ სტრიტ ჯორნალი".

ქართული საპარლამენტო არჩევნებით დაინტერესდა "სი-ენ-ენ"-იც. ტელეკომპანიამ ვრცელი რეპორტაჟი მოამზადა და ქართულ არჩევნებს რეგიონული მნიშვნელობის მოვლენა უწოდა. გარდა ამისა, გადაცემამ "ქონექთ ვოლს", "ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილთან ინტერვიუ ჩაწერა და მას სამომავლო გეგმებზე ესაუბრა. ივანიშვილმა "სი-ენ-ენ"-ს უთხრა, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა კრემლთან ურთიერთობის აღდგენაა, რაც, ივანიშვილის თქმით, რთული, მაგრამ მიღწევადია. მანვე აღნიშნა, რომ ნატო-სთან და ევროკავშირთან ინტეგრაციის პოლიტიკა უნდა გაგრძელდეს.

"ჩვენ უნდა აღვადგინოთ ნორმალური ურთიერთობები რუსეთთან. პირველ ეტაპზე ეს იქნება კულტურის და ვაჭრობის დარგში, მაგრამ შემდეგ უნდა მივუბრუნდეთ იმ მეგობრულ ურთიერთობებს, რაც რუსეთთან წარსულში გვქონდა," - განუცხადა ივანიშვილმა ტელეკომპანიას.

"არჩევნების შოკისმომგვრელმა შედეგმა ინვესტორებს თავშესაფრის ძიება დააწყებინა," - ამ სათაურით გამოეხმაურა ქართულ არჩევნებს ბრიტანული გამოცემა "ფაინენშალ ტაიმსი". ავტორის შეფასებით, მთავრობის დამარცხება პირდაპირ აისახა ბაზრებზე, რასაც ადასტურებს ის, რომ ლონდონის ბირჟაზე 2.6 პროცენტით დაეცა "საქართველოს ბანკის" აქციები. სტატიაში წერია, რომ ამ არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მომავალ წელს ძალაში შედის საკონსტიტუციო ცვლილება, რომლითაც პარლამენტს უფლებამოსილება ეზრდება, პრეზიდენტს კი - უმცირდება.

"აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ინვესტორები ანერვიულდნენ " - აღნიშნავს გამოცემა.

ბრიტანული "ინდიპენდენტი" კი ბიძინა ივანიშვილის იმ განცხადებას ეხმიანება, რომლითაც "ქართული ოცნების" ლიდერმა მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტობის პოსტის დატოვება ურჩია. "არჩევნების შოკური შედეგის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტს გადადგომისკენ მოუწოდებენ" - როგორც სტატიის ავტორი ალან კულისონი (ALAN CULLISON) წერს, გარანტირებული გამარჯვების შემდეგ, მილიარდერმა ივანიშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის გადადგომა პატივსაცემი ნაბიჯი იქნებოდა. სტატიის თანახმად, ივანიშვილმა, რომელსაც საარჩევნო კამპანიის პერიოდში კრემლის დამქაშობაში ადანაშაულებდნენ, ისიც განაცხადა, რომ საქართველო დასავლურ ორიენტაციას არ შეცვლის, თუმცა იქვე რუსეთთან უკეთესი ურთიერთობის სურვილზე მიანიშნა. ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ აშშ და ევროკავშირი გამჭვირვალედ ჩატარებულ არჩევნებს აქებენ და თანამშრომლობისკენ ორივე მხარეს მოუწოდებენ. ბრიტანული გამოცემის შეფასებით, ეს არის უნიკალური შემთხვევა, როდესაც პოსტსაბჭოთა ქვეყანა მშვიდობიანი არჩევნებით ცვლის ხელისუფლებას, პრეზიდენტი კი მარცხს აღიარებს და ხელისუფლებას კონკურენტ პარტიას გადასცემს.

საქართველოში ჩატარებული არჩევნები რუსულ მედიაშიც აქტუალურია. რუსულ ტელევიზიასთან საუბარში "დემოკრატიული კავშირის" ლიდერი ვალერია ნოვოდვორსკაია აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილმა, თავის გუნდთან ერთად, ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები ჩაატარა. რუსი უფლებადამცველის შეფასებით, უმრავლესობაში მოვიდა ძალა, რომელიც მოსკოვიდან იმართება.

"ივანიშვილი მოღალატეა, რომლის უკანაც ტანკები დგას. მას საქართველოს მომავალი არ აინტერესებს და იმ ქვეყანასთან შერიგებას აპირებს, რომელმაც საქართველოს ბომბები დაუშინა და რომელსაც საბჭოთა წარსულში დაბრუნება სურს. ის ადამიანები, რომლებიც ევროპულ რეფორმებს არ ჩაეჭიდებიან, სამშობლოს რუსეთთან ღალატობენ. მეგონა, საქართველო საკმარისად გაწვრთნილი იყო იმისთვის, რომ საკუთარ ევროპულ მომავალსა და რეფორმებს ჩასჭიდებოდა. გაევლო ქარ-ცეცხლი, არ წამოგებულიყო გადაგდებულ ლუკმაზე და ქართულ ოცნებაზე, რომელიც რეალურად განუხორციელებელია," - აცხადებს ვალერია ნოვოდვორსკაია. მისი შეფასებით, "სამართლიანი ქართული პარტია", რომელიც დღემდე ხელისუფლებაში იყო, ნამდვილად ევროპულად მოიქცა.

"არავინ ელოდა, რომ მიხეილ სააკაშვილი არაკონსტიტუციური საპრეზიდენტო ვადისთვის არ იბრძოლებდა და ფსონად ხელისუფლენას დადებდა. მით უმეტეს, საუბარია არა მის ძალაუფლებაზე, არამდ საქართველოს ბედზე. მაგრამ ის სამართლიანად მოიქცა. თქვენ ძალიან ბევრი შეგიძლიათ დაკარგოთ. ის, ვინც ახლა არ დაიცავს მიხეილ სააკაშვილს და მის რეფორმებს, საქართველოს რუსეთთან ღალატობს. ივანიშვილი მოღალატე და რუსული კრეატივია. მის უკან რუსული ტანკები დგას. ივანიშვილთან ერთად, საქართველოზე ნამგალისა და უროს ხუთქიმიანი ვარსკვლავის ჩრდილი წვება," - აცხადებს რუსი უფლებადამცველი.

"გააკეთე თავისუფალი არჩევანი საკუთარ ქვეყანაში" - ამ სათაურით საქართველოში ჩატარებული არჩევნების შესახებ წერს "მოსკოვსკი კომსომოლეცის" ჟურნალისტი მატვეი განაპოლსკი. ჟურნალისტი საუბრობს იმის შესახებ, როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები, რომ არა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება.

"მაგალითად, არჩევნებამდე შესაძლებელი იყო - 1) არჩევნების გაუქმება, თავის გამოცხადება მეფედ, სულიერ ლიდერად და ერის მამად. პარლამენტი კანონმდებლობით დააფიქსირებდა ახალი დავით აღმაშენებლის გამოჩენას ქვეყანაში. 2) სასწაულმოქმედი არჩევნები, როდესაც სააკაშვილი 146 პროცენტს დააგროვებდა და უკმაყოფილებს სასამართლოსკენ გაუშვებდა. 3) ივანიშვილის ციხეში ჩასმა. 4) ოპოზიციურ არხებზე ნაჩვენები კომპრომატული ვიდეოკადრების ფალსიფიკაციად გამოცხადება და ყველა მონაწილე პირის დაპატიმრება არსებული სახელმწიფოებრივი და კონსტიტუციური წყობის ჩამოშლის მცდელობის მიზნით. ერთი სიტყვით, ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა საკუთარი ბედნიერების მოსაწყობად," - წერს რუსი ჟურნალისტი. ის აღნიშნავს, რომ საქართველოში არჩევნები არ მოუგია არც ივანიშვილს და არც სააკაშვილს. **"საქართველოში თავიდან ბოლომდე გაიმარჯვა კონსტიტუციამ. ერთი სიტყვით, საქართველოში გაიმართა დემოკრატიული არჩევნები და ჩვენი საკითხია - ვისწავლოთ საქართველოსგან არა მხოლოდ კარგი გზების გაკეთება, იუსტიციის სახლების აშენება და მისაბაძი პოლიციის სისტემის ჩამოყალიბება. უმთავრესია, ვისწავლოთ კონსტიტუციის დაცვა, თუნდაც ის შენს საწინააღმდეგოდ მობრუნდეს,"** - წერს მატვეი განაპოლსკი.

საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე Livejournal-ზე რუსი ბლოგერებიც საუბრობენ. ერთ-ერთი მათგანი ფიქრობს, რომ ჩატარებული არჩევნებით საქართველომ კიდევ ერთი გაკვეთილი აჩვენა რუსეთს და მის პოლიტიკურ ელიტას - გაკვეთილი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიცვალოს ქვეყანაში მთავრობა და როგორ უნდა დამყარდეს დემოკრატია. ბლოგერის აზრით, რუსეთი იმის მომსწრეა, თუ როგორ მყარდება კიდევ ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში დემოკრატია. სხვა ბლოგერი იმასაც ამბობს, რომ სააკაშვილმა დამარცხების აღიარებით და ოპოზიციაში გადასვლით მორალური გამარჯვება მოიპოვა. მისი თქმით, სააკაშვილმა ამით დაამტკიცა, რომ იგი აშენებდა დემოკრატიას და არა - ერთ პიროვნებაზე მორგებულ მმართველობას. ბლოგერის აზრით, სააკაშვილმა ააშენა ისეთი ქვეყანა, სადაც შეიძლება, ხალხს ერთი ლიდერი მობეზრდეს და არჩევნების გზით მეორე აირჩიოს.

ჩიორა თაქთაქიშვილი: "ქართული ოცნება" დაშინებას და ზეწოლას აგრძელებს"

დათო გამისონია

გუშინ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" საოლქო საარჩევნო კომისიებზე ზეწოლის ფაქტების შესახებ მთელი დღის განმავლობაში იუწყებოდა. პარტიის პრესსპიკერ ჩიორა თაქთაქიშვილის განცხადებით, "ქართული ოცნების" აქტივისტები ზუგდიდის, მარნეულის, ბოლნისის, ამბროლაურის და თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიების შენობებთან იყვნენ მობილიზებულები. როგორც თაქთაქიშვილმა "24 საათს" უთხრა, მაშინ როდესაც საოლქო კომისიებში უბნის შედეგებს აჯამებენ და საჩივრებს განიხილავენ, "ქართული ოცნების" აქტივისტები კომისიის წევრის დაშინებას და რუპორების მეშვეობის ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ.

ყველაზე მძიმე შემთხვევა, ჩიორა თაქთაქიშვილის ინფორმაციით, თეთრიწყაროში მოხდა, სადაც საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს მიღებული გადაწყვეტილება, მისი თქმით, ზეწოლის შედეგად "ქართული ოცნების" სასარგებლოდ შეაცვლევინეს. **"ეს ნიშნავს იმას, რომ მან ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე შედეგის გაუქმებას კანონის დარღვევით დაუჭირა მხარი. მან კომისიის სხდომაზე საჯაროდაც განაცხადა, რომ ზეწოლის და მუქარის შედეგად უკანონო გადაწყვეტილება მიიღო,"** - ამბობს თაქთაქიშვილი.

ლაგოდეხში კი "ნაციონალური მოძრაობის" ინფორმაციით, "ქართულმა ოცნებამ" 200-მდე ადამიანის მობილიზება მოახდინა და ისინი სხდომის გამართვას ელოდებოდნენ. თაქთაქიშვილის თქმით, ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო ამბროლაურის საარჩევნო კომისიაზეც.

ჩიორა თაქთაქიშვილის განცხადებით, საქმე ის არის, რომ თითოეულ აღნიშნულ უბანზე, ცესკო-ს მონაცემებით, "ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი კანდიდატები იმარჯვებენ.

თაქთაქიშვილმა "24 საათს" კიდევ რამდენიმე შემთხვევის შესახებ უამბო. როგორც თაქთაქიშვილი ამბობს, დედოფლისწყაროს სოფელ საბათლოს რწმუნებულს "ქართული ოცნების" აქტივისტები აიძულებენ, საჯაროდ განაცხადოს, რომ "ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლოდ არჩევნების გაყალბებაში მონაწილეობდა. **"ამ უბანზე "ნაციონალურმა მოძრაობამ" გაიმარჯვა. "ქართულ ოცნებას" რწმუნებულის განცხადება იმისთვის სჭირდება, რომ დაადასტუროს, თითქოს უბნის შედეგები გაყალბებულია,"** - აღნიშნავს თაქთაქიშვილი.

დეპუტატის ინფორმაციით, ასევე დაძაბული ვითარებაა ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიაში. **"კომისიის საქმიანობაში ერევა ოთხი ადამიანი, რომლებსაც ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობები აქვთ. შენობის გარეთ კი "ქართული ოცნების" აქტივისტები არიან მობილიზებულები,"** - აღნიშნავს ჩიორა თაქთაქიშვილი და დასძენს, - **"კომისიის ერთ-ერთი წევრი ავად გახდა, თუმცა აქტივისტები ექიმს შენობაში არ უშვებდნენ."**

თაქთაქიშვილი კიდევ ერთი შემთხვევის შესახებ ყვება. მისი თქმით, თერჯოლის მაჟორიტარი კანდიდატი "ქართული ოცნებიდან" ზაალ გოგსაძე კომისიის თავმჯდომარეზე ზეწოლას ახდენს, რათა მან "ქართული ოცნების" სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღოს.

"ნაციონალური მოძრაობა" სამართლებრივ მექანიზმებს მიმართავს და უკანონო გადაწყვეტილებებს ცესკო-სა და სასამართლოში გაასაჩივრებს, მაგრამ, როგორც თაქთაქიშვილი ამბობს, პრობლემა ის არის, რომ "ქართული ოცნება" ზეწოლით, დაშინებით, ზოგ შემთხვევაში ფიზიკური შეურაცხყოფით, დემოკრატიული პროცესის დარღვევას ცდილობს. როგორც თაქთაქიშვილი დასძენს, "ქართული ოცნება" მხედველობაში არ იღებს იმას, რომ "ნაციონალური მოძრაობა" ხალხის უმრავლეობის გადაწყვეტილებას პატივს სცემს და ოპოზიციაში გადადის.

"ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" მიმართა ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებს, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობას, საოლქო კომისიებზე განსაკუთრებული მონიტორინგი დაწესონ და არ დაუშვან, რომ "ქართულმა ოცნებამ" საქართველოს ისტორიაში ყველაზე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების პროცესის დისკრედიტაცია მოახდინოს. "ქართული ოცნების" აქტივისტები საოლქო კომისიის წევრებს აფრთხილებენ, რომ თუკი "ნაციონალური მოძრაობის" "მაჟორიტარობის კანდიდატის გამარჯვებას დაადასტურებენ, დაისჯებიან," - ამბობს ჩიორა თაქთაქიშვილი.

საარჩევნო პროცესზე ზეწოლას ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი ეხმიანება. მისი თქმით, რამდენიმე ოლქში იყო შემთხვევები, როცა კომისიის წევრებზე ზეწოლის გამო საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობა შეფერხდა. ხარატიშვილის თქმით, თეთრიწყაროს შემთხვევაზე ცესკო რეაგირებას მოახდენს. ხარატიშვილმა ისაუბრა თერჯოლის ოლქის შესახებაც, სადაც, მისი თქმით, კომისიის წევრებზე სიტყვიერ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ.

ცესკო-ს თავმჯდომარე ამბროლაურის, მარტვილის და ხაშურის საარჩევნო ოლქებში შედარებით ნაკლები სიმწვავის ზეწოლის ფაქტებზე საუბრობს. მან ყველა პარტიას ზეწოლის შეწყვეტისკენ მოუწოდა.

გუშინვე დიპლომატები და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ხელმძღვანელები ზურაბ ხარატიშვილს შეხვდნენ. ბრიტანეთის ელჩმა ჯუდით გოფმა განაცხადა, რომ აუცილებელია, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს და შედეგები დაითვალოს.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ფილიპ დიმიტროვმა კი პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდა, რომ ცესკო-ს შედეგების ბოლომდე დათვლის შესაძლებლობა მისცენ. **"მნიშვნელოვანია, პარტიებმა იცოდნენ, რომ საარჩევნო კომისიებზე ზეწოლით თავიანთ პარტიებს აყენებენ ზიანს. მათ გასაჩივრების უფლება აქვთ და ეს კანონის ფარგლებში უნდა მოხდეს,"** - ამბობს ფილიპ დიმიტროვი.

ნატო-ს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი ასენ აგოვი ზოწოლის ფაქტების გამო შეშფოთებულია. **"დღეს შევიტყვე, რომ "ქართულმა ოცნებამ" რამდენიმე უბნის შედეგები გაასაჩივრა. ხოლო, საოლქო საარჩევნო კომისიებზე ზეწოლას ახდენენ, რათა კომისიამ "ქართული ოცნების" სასარგებლოდ მიიღოს გადაწყვეტილება. მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ ეს არჩევნები დემოკრატიული გზით ჩატარდა, ასეთი საქციელი საფრთხის მატარებელია და საქართველოში დემოკრატიას კითხვის ქვეშ აყენებს,"** - ამბობს აგოვი.

"ნაციონალური მოძრაობის" მიერ გავრცელებულ განცხადებებს" კოალიცია "ქართული ოცნებიდან" დავით უსუფაშვილი ეხმიანება. მას მიაჩნია, რომ აქციებით შედეგის მიღწევის მცდელობა სწორი არ არის. მისი აზრით, პირიქით, ამან შეიძლება რაღაცები გაართულოს. თუმცა, როგორც უსუფაშვილი დასძენს, კომისიის წევრებმა უნდა გააცნობიერონ, რომ უკანონო გადაწყვეტილებები ძვირად დაუჯდება ყველას და ეს საკითხები სასამართლოში გადავა.

აღნიშნული ფაქტების შესახებ განცხადება გააკეთა "ნაციონალური მოძრაობის" წევრმა გოკა გაბაშვილმა. "არჩევნები ქართველი ხალხის დიდი მონაპოვარია. ყველა სადამკვირვებლო მისიამ და დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებმა ამ არჩევნებს ეჭვგარეშედ წინგადადგმული ნაბიჯი უწოდეს. ამის, მიუხედავად, მთელი დღის განმავლობაში საოლქო კომისიებთან აქტივისტების ჯგუფების მობილიზებას ახდენდნენ. თავიდან ვფიქრობდით, რომ ეს ემოციური ფონიდან გამომდინარე, ცალკეული ნაბიჯები იყო. თუმცა, დავრწმუნდით, რომ "ქართული ოცნების" გააზრებული ტაქტიკაა. იმ ოლქებში, სადაც "ნაციონალური მოძრაობა" იმარჯვებს, საოლქო კომისიის წევრებს სიტყვიერ და ზოგჯერ ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ. ბევრგან ამას ორგანიზებული სახე აქვს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ საქციელით საქმეს რამეს შეჰმატებს, ცდება. რამდენიმე მანდატის გამოგლეჯვის ტაქტიკა აბსოლუტურად დაუშვებელია. ხალხმა თავისი ნება გამოხატა და ჩვენ ვთქვით, რომ ოპოზიციაში გადავდივართ. "ქართულმა ოცნებამ" კი უნდა აღიაროს იმ ოლქების შედეგები, სადაც გამარჯვება ვერ მოიპოვა," - ამბობს გოკა გაბაშვილი, - **"კიდევ ერთხელ მოვუწოდებ პარტიას, რომელმაც სულ რამდენიმე დღეში ხელისუფლება უნდა გადაიბაროს, ასეთი მეთოდებით - ცილისწამებით, ადამიანების შანტაჟითა და დაშინებით დამატებით ერთი-ორი მანდატის მოპოვების მცდელობა აბსოლუტურად დაუშვებელია."**

ქუჩის აქციებით შედეგის მიღწევა გამართლებულად არც კოალიცია "ქართული ონცების" წევრ დავით უსუფაშვილს მიაჩნია. **"ჩვენი საქმიანობა სამართლებრივად უნდა გავაგრძელოთ, ქუჩის შეხლა-შემოხლები არანაირად არ შედის ჩვენს ინტერესში და უფრო მეტიც, თუ ამბიციურობად არ ჩამომართმევს ვინმე - აღარც გვეკადრება. იმიტომ, რომ ხელისუფლებაში ყოფნა სხვა რამეს ნიშნავს და არა იმას, რომ მიადგე რომელიმე შენობას და "გადადექი" ეძახო ან რაღაცები მოითხოვო,"** - აღნიშნა უსუფაშვილმა. მანვე დასძინა, რომ "ნაციონალური მოძრაობის მიერ არჩევნების შედეგების აღიარება იმას არ ნიშნავს, რომ "ქართული ოცნება" რომელიმე ოლქში უკანონობას და უსამართლობას შეეგუება. თუმცა, როგორც უსუფაშვილი ამბობს, "ქართული ოცნება" ხელისუფლებაშია და მას დარღვევებზე რეაგირებისთვის სამართლებრივი ბერკეტები გააჩნია.

საგარეო ვალი ზრდას განაგრძობს

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოს საგარეო ვალი მხოლოდ აგვისტოში 122,2 მლნ დოლარით - 4,29 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობამ მიმდინარე წლის 31 აგვისტოსთვის 4,29 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან 3,81 მლრდ დოლარი უშუალოდ მთავრობის საგარეო ვალია, ხოლო 480,327 მლნ დოლარი - ეროვნული ბანკის.

ივლისის ბოლოსთვის მთავრობის საგარეო ვალი 3,694 მლრდ დოლარი იყო, ხოლო ეროვნული ბანკის - 478,122 მლნ დოლარი. გასული წლის აგვისტოს ბოლოსთვის კი მთავრობას საგარეო კრედიტორების 3,588 მლრდ დოლარი მართებდა, ეროვნულ ბანკს - 659,838 მლნ დოლარი. ეს ციფრები მნიშვნელოვნად აღემატება საბიუჯეტო შემოსავლებისა და, მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპს.

ეროვნული ბანკის ერთადერთი საგარეო კრედიტორი საერთაშორისო სავალუტო ფონდია, რომლის მიმართ მთავრობასაც აქვს დავალიანება და მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლოსთვის ეს ციფრი 392,526 მლნ დოლარით განისაზღვრება. მთლიანობაში, მთავრობის დავალიანება საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ აგვისტოს ბოლოსთვის 2,568 მლრდ დოლარია.

ეს, რა თქმა უნდა, საქართველოსთვის დიდი პრობლემაა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აუქციონიდან აუქციონამდე გასაყიდად გამოტანილი ობლიგაციების მოცულობაც იზრდება და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთიც.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის ერთადერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც უფლებამოსილია, მოიზიდოს სახელმწიფო სესხები უცხო ქვეყნების მთავრობებიდან და რეგიონული და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან. 2008 წელს ფინანსთა სამინისტრომ ევროობლიგაციების სადებიუტო გამოშვება განახორციელა. 2011 წელს საქართველომ გამოუშვა მეორე, ამჯერად 10-წლიანი ევროობლიგაცია. ამ ტრანზაქციის ფარგლებში მოხდა 2008 წელს გამოშვებული 5-წლიანი ევროობლიგაციის წინსწრებით გამოსყიდვა, რამაც 2013 წელს ერთჯერადად გადასახდელი ძირითადი თანხა შეამცირა.

აღსანიშნავია, რომ ვალის მოცულობა და მისი ფარდობითი მაჩვენებლების სტანდარტებში მოქცევა ყველა ქვეყნისთვის ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და ამ საკითხის აქტუალურობას ხაზი ევროზონის სავალო კრიზისმა კიდევ ერთხელ გაუსვა.

კომპანია "ჯორჯიან ბიზნეს ინსაითის" დირექტორის ირაკლი ლექვინაძის თქმით, "საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვალი კი არ მცირდება, არამედ იზრდება. არის ქვეყნები, რომლებსაც დიდი ვალი აქვთ, მაგრამ მათ გადახდის უნარი გააჩნიათ. საქართველო გადახდისუნარიანობის თვალსაზრისით სუსტ მდგომარეობაშია. საგარეო ვალი მუდმივად მზარდ რეჟიმში არ უნდა იყოს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ვალი აუცილებლად მივა იმ წერტილამდე, რომლის დროსაც ჩვენც საბერძნეთის, იტალიის, პორტუგალიისა და სხვა ქვეყნების მსგავს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ზრდის ტენდენცია უნდა შეჩერდეს და ვალის მართვის მენეჯმენტი უფრო მაღალ დონეზე იქნას აყვანილი".

2012 წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 389,7 მლნ აშშ დოლარით (636,3 მლნ ლარით) გაიზარდა. აქედან, ოპერაციული ცვლილების გამო, ვალი 539,2 მლნ აშშ დოლარით (880,3 მლნ ლარით) გაიზარდა, ფასის ცვლილების შედეგად - 14,0 მლნ აშშ დოლარით (22,8 მლნ ლარით), საკურსო ცვლილებებისა და სხვა ცვლილების გამო კი, შესაბამისად, 119,9 მლნ აშშ დოლარით (195,7 მლნ ლარით) და 43,5 მლნ აშშ დოლარით (71,0 მლნ ლარით) შემცირდა. საბოლოო ჯამში, საქართველო სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას. მიუხედავად თვითშეზღუდვისა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრება და რომლის თანახმადაც სახელმწიფო ვალმა მშპ-ს 60 პროცენტს არ უნდა გადააჭარბოს, ბოლო წლებში ვალის ზრდის ტემპი მშპ-ს ზრდის ტემპს აჭარბებს. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა (1996 წელს იგი მშპ-ს 44 პროცენტი გახლდათ, 2010 წლის ბოლოს მისი მოცულობა მშპ-ს დაახლოებით 1/3 იყო).

ირაკლი ლექვინაძე აღნიშნავს, ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში საგარეო ვალის წლის ბოლომდე შემცირება რომ მოხდეს, ან მშპ უნდა გავზარდოთ დიდი პროცენტით (იმაზე დიდი პროცენტით, ვიდრე ვალი გაიზრდება), ან ვალი შევამციროთ. მაგრამ ჯერჯერობით ვალი იზრდება.

აღსანიშნავია, რომ განვითარებული ქვეყნებისათვის სახელმწიფო ვალი იშვიათად იყოფა საშინაო და საგარეო ვალად. ამ ქვეყნებში ფინანსური ბაზრების გახსნილობა და განვითარებულობა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისადმი (რაც ვალის აღების, პრაქტიკულად, ერთადერთი ფორმაა) როგორც ქვეყნის რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი პირების ერთნაირ ან თითქმის ერთნაირ მიღწევადობას უზრუნველყოფს და ამიტომაც რთულია იმ ზღვრის გავლება, რომელიც კრედიტორებს რეზიდენტობის მიხედვით დაჰყოფს. სამწუხაროდ, საქართველო ამგვარი ქვეყნების რიცხვში არ ხვდება.

მთავრობამ 2013 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები წარმოადგინა

საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 7 234.0 მლნ. ლარით განისაზღვრა. როგორც 2013 წლის ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, 2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი 6 730.0 მლნ ლარით განისაზღვრა და მთლიანი შიდა პროდუქტის 23.0% შეადგენს.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები ცალკეული გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია: საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 583.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 5.4 პროცენტია და 2012 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით 0.9 პროცენტით მცირდება;

მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 994.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 3.4 პროცენტია და 2012 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით 10,4 პროცენტით იზრდება;

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 323,0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 11.3 პროცენტს შეადგენს და 2012 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით 10,3 პროცენტით იზრდება;

აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 670.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 2.3 პროცენტს შეადგენს და 2012 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან 4,0 პროცენტით იზრდება;

იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 125.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 0.4 პროცენტს შეადგენს და 2012 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით 25,0 პროცენტით იზრდება. სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 35.0 მლნ ლარით.

2013 წლისთვის გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 154.0 მლნ ლარით, მათ შორის საბიუჯეტო გრანტები 52.0 მლნ ლარი, ხოლო საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტები 102.0 მლნ ლარი. 2013 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 350.0 მლნ ლარის ოდენობით.

2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით "სხვა ხარჯების" მუხლით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა ღონისძიებების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ზოგადი განათლება 32.8%, რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია 15.4 პროცენტი, სარეზერვო ფონდები 9.1 პროცენტი, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა 8.5 პროცენტი, უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა 7.0 პროცენტი

დევნილთა მხარდაჭერა 6.3%, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია 5.5 პროცენტი, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია 3.4 პროცენტი, არჩევნების ჩატარების ღონისძიებები, პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება 3.2 პროცენტი, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება 1.1 პროცენტი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა 0.3 პროცენტი, მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა 0.3 პორცენტი და სხვადასხვა ღონისძიებები 7.1 პროცენტი.

აფეთქებათა სერია ალეპოში

ხათუნა გაბიევი

აფეთქებათა ძლიერ სერიას ალეპოში მსხვერპლი მოჰყვა. დაღუპულია 40-ზე მეტი ადამიანი. დაშავებულია 120 კაცი, რომელთა უმრავლესობაც მშვიდობიანი მოქალაქეა. ექიმების განცხადებით, მსხვერპლის რიცხვი, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს. ინციდენტები ქალაქის იმ ნაწილში მოხდა, რომელსაც სამთავრობო ძალები აკონტროლებენ. ოფიცერთა კლუბსა და სასტუმროსთან გაჩერებულ ავტომობილებში ჩამონტაჟებული ნაღმები ამოქმედდა. სერიოზულად დაზიანდა ახლომდებარე შენობა-ნაგებობიც, გაჩნდა ხანძრის რამდენიმე კერა. ტელეარხ "ალ-ჯაზირას" ინფორმაციით, მთლიანად დაიწვა ოფიცერთა კლუბი.

სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციით, განხორციელებულ აქტებზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ამბოხებულთა ორმა დაჯგუფებამ აიღო. ექსპერტთა შეფასებით, ტერაქტებს "ალ-კაიდას" სტილის "ჯიჰადის" ჯგუფის ხელწერა ემჩნევა, რომელთა ნაწილიც, სირიის სამთავრობო მედიის ცნობით, სამოქალაქო ომში ჩაება და ამბოხებულებს მიემხრო. ერთ-ერთ იმ ჯგუფთაგან, რომელმაც პასუხისმგებლობა აიღო მომხდარზე, ექსტრემისტული დანაყოფი "ჯაბათ ალ-ნუსრაა" ანუ იგივე "გამარჯვების ფრონტი". თუმცა სირიის ოპოზიცია ტერორისტებთან კავშირში ბრალდებებს უარყოფს.

სირიის სიდიდით მეორე ქალაქი რეგულარული არმისა და "სირიის თავისუფალი არმიის" ბრძოლის ველად ორი თვეა რაც გადაიქცა. ამ დროის განმავლობაში კი სირიის კომერციული დედაქალაქის მრავალი კვარტალი ნანგრევებად იქცა, ათი ათასობით ადამიანმა კი დროებით თავშესაფარს მიაშურა. რაც შეეხება თავად რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ დაპირისპირებას ქვეყანაში, იგი 18 თვეა გრძელდება. რიგ ქალაქებში სამოქალაქო ომმა და ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში სპორადულმა ბრძოლებმა მოსახლეობის ყველა ფენაზე იქონია უარყოფითი გავლენა. გარდა იმისა, რომ ქვეყანა ასობით ათასმა მოქალაქემ დატოვა და თავი მეზობელ ქვეყნებს შეაფარა ლტოლვილის სტატუსით, სირიაში დარჩენილებს უკვე აღარც დანაზოგი ჰყოფნით თავის გასატანად. სამოქალაქო ომს ჰუმანიტარული კრიზისიც დაემატა. დამასკოს ძველ უბანში, რომელიც ერთადერთი ადგილია, რომლისთვისაც ომს ჯერ დაღი არ დაუსვამს, ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი უცვლელადაა, მაგრამ ადგილობრივები ამბობენ, რომ აქ თუ ადრე სიცოცხლე ჩქეფდა და უამრავი ტურისტი ირეოდა, ახლა აქა-იქ თუ მოკრავ ადამიანებს თვალს, რომლებიც უკიდურესად საჭირო ნივთის შესაძენადღა თუ მიდიან ბაზარში. სირიულ ოჯახებს ფული აუცილებელ პროდუქტებზეც აღარ ჰყოფნით, ჭიქა ნატურალური წვენი კი ნამდვილ ფუფუნებად არის ქცეული. სამაგიეროდ, დიდი რიგებია კვარტლებში სახელდახელოდ გახსნილ ჰუმანიტარულ ცენტრებთან.

ქვეყანაში მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა იმ ფაქტმა, რომ, არაერთი მოწოდების მიუხედავად, ასადმა უარი თქვა სამშვიდობო მოლაპარაკებებზე, ყოფილმა პრემიერმა ჰიჯაბმა კი უარი თავად პრეზიდენტ ასადზე განაცხადა. ივლისის მასშტაბური ტერაქტის შემდეგ, რასაც ასადის მთავრობის რამდენიმე მაღალჩინოსანი შეეწირა, რიად ჰიჯაბმა სამშობლო დატოვა და უცხოეთში მყოფ ოპოზიციონერ თანამოქალაქეებს შეუერთდა. ასადის მხრიდან მოლაპარაკებებზე უარის მოტივებზე რიად ჰიჯაბი ტელეკომპანია "ალ-არაბიას" ესაუბრა. "ასადი ოპოზიციასთან მოლაპარაკებების იდეას გაღიზიანებით შეხვდა. მან უარი თქვა დიალოგის ნებისმიერ ფორმაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე სირიის ფარგლებს მიღმა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არ აპირებს მოლაპარაკებებს დანაწევრებულ ოპოზიციასთან, რომელსაც, ამავდროულად, ფარული განზრახვა და გეგმები აქვს. ამაში, რასაკვრველია, იგულისხმა მისი ჩამოგდების საფრთხე. ამ ოპოზიციას პატრიოტული მოტივები არ ამოძრავებს და თანაც შეიარაღებულია. ჩვენ ყველანი შოკში ვიყავით, როდესაც ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ პრეზიდენტის სასახლეს ვტოვებდით. პრაქტიკულად, ყოველგვარი იმედი დავკარგე, მით უმეტეს, ბოლო დღეებში, როდესაც "სირიის თავისუფალი არმია" ქალაქ ალეპოს 70 პროცენტს აკონტროლებდა," - განაცხადა ინტერვიუში სირიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, რომელსაც ჟურნალისტმა პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადთან ბოლო საუბრის შინაარსის გახსენება სთხოვა. ჰიჯაბის თქმით, მოლაპარაკების ყველა მცდელობა საბოლოოდ დაასამარა ივლისის ტერაქტმა, რომლის დროსაც თავდაცვის მინისტრი დაუდ რაჯა და მისი მოადგილე, იმავდროულად ასადის სიძე ასეფ შაუქათი დაიღუპნენ.

ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის სისასტიკის წინააღმდეგ ამბოხი, რომელიც შეიარაღებულ კონფლიქტში მალევე გადაიზარდა, 2011 წლის მარტიდან დაიწყო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და, ზოგადად, დასავლური და აზიური სახელმწიფოების მხრიდან კონფლიქტის შეწყვეტისკენ მოწოდების მიუხედავად, სამოქალაქო ომი სირიაში დღემდე გრძელდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, მსხვერპლის რაოდენობამ, დიდი ხანია, 20 ათას კაცს გადააჭარბა, ამბოხებულების მონაცემებით კი, დაღუპულთა რაოდენობა მეტსაც - 27 ათასსაც გასცდა.

ბიზნესი

ვლანეტის ექვსი "პირქარი", რომლებიც ეკონომიკას გააჩერებს

თინა შავაძე

შესაძლებელია თუ არა, ეკონომიკური ზრდა მუდმივად გაგრძელდეს? ამ კითხვას ეკონომისტები საკუთარ თავს უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში უსვამენ.

როგორც ჩანს, ამ კითხვას პასუხი გასული საუკუნის 50-იან წლებში ეკონომისტმა რობერტ სოლოიმ გასცა. პასუხი დადებითი იყო: დიახ, თეორიულად, ეკონომიკური ზრდა შეიძლება გაგრძელდეს იქამდე, სანამ კაცობრიობა იარსებებს. 1987 წელს სოლოის მიენიჭა ნობელის პრემია მათემატიკური მოდელების შექმნისთვის, რომლებმაც ეს მოსაზრება დაადასტურა.

მეცნიერმა ფორმულაში ჩართო ეკონომიკური ზრდა, რომელსაც ჰქონდა ორი პარამეტრი - შრომა და კაპიტალი, და მესამე - ტექნიკური პროგრესი. მან დაამტკიცა, რომ ეკონომიკის გამოშვების მოცულობა დამოკიდებულია არა მხოლოდ შრომასა და კაპიტალზე, არამედ მათი ხარისხობრივ ცვლილებებზე, რომლებიც ტექნიკური პროგრესის სახით გვევლინება.

ამ სამი პარამეტრისგან შემდგარი მოდელის გარკვეული პირობების დაცვით გამოყენების შემთხვევაში, კაცობრიობას მუდმივი ეკონომიკური ზრდა გარანტირებული აქვს.

მაგრამ დღეს, ბოლო 70 წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე კრიზისის დროს, რობერტ გორდონს Northwestern University-დან სურს, სოლოის მოდელის ჭეშმარიტება ეჭვქვეშ დააყენოს: სწრაფი ეკონომიკური ზრდა, დაახლოებით, ბოლო 250 წლის მანძილზე, განსაკუთრებული და უნიკალური მომენტი იყო კაცობრიობის ისტორიაში. ჩემი თვალსაზიერით, მსგავსი რამ ასობით და ათასობით წელი აღარ განმეორდება.

გორდონი სწავლობდა ბრიტანეთის ეკონომიკის ზრდას 1300 წლიდან და რაღაც მომენტში - აშშ-ს ეკონომიკასაც, რომელმაც მსოფლიო ლიდერობა XX საუკუნის პირველ წლებში მოიპოვა და 2007 წლამდე გაგრძელდა.

1750 წლამდე მსოფლიოში არანაირი ეკონომიკური ზრდა არ იყო. დიდ ბრიტანეთში, 1300 წლიდან მოყოლებული, მხოლოდ 0,2 პროცენტს შეადგენდა და ქვეყნის ეკონომიკური ტემპი მკვეთრად დაჩქარდა მხოლოდ 1750 წლის შემდეგ.

ახლა ის კვლავ შენელდა. დიდ ბრიტანეთს ვერ შველის რიგით მესამე სამეცნიერო პარამეტრი - ტექნოლოგიური რევოლუცია, რომელიც 2004 წელს დასრულდა.

გორდონი დარწმუნებულია, რომ აშშ ეკონომიკის ზრდას შემდეგ საუკუნეში დაუბრუნდება საწყისი დონით - 0,2-პროცენტიანი მატება წელიწადში. ამ უსუსური ზრდის მიუხედავად, შტატები არ გახდება მსოფლიო პერიფერია - ის დარჩება პლანეტის ყველაზე დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნად და მამოძრავებელ ძალად.

"პლანეტის ეკონომიკას გააჩერებს ექვსი "პირქარი" - ექვსი გლობალური ტენდენციების შეძენილი იმპულსი, რომლის წინაშეც კაცობრიობა უძლური იქნება," - იწინასწარმეტყველა მეცნიერმა.

რუსეთს "საშინელი საინვესტიციო იმიჯი" აქვს

თინა შავაძე

ჩილესა და რუსეთს შორის დიდი მსგავსებაა, თუმცა ამას ძალიან ცოტა ადამიანი თუ ამჩნევს. უცნაურად ჟღერს, როცა ჩილე ინვესტორებში დადებით - წარმატების, სტაბილურობისა და გამჭვირვალობის ასოციაციებს იწვევს, - წერს "ფაინენშელ ტაიმსი".

რუსეთს კი, ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, "საშინელი საინვესტიციო იმიჯი" აქვს, მაგრამ მაიკლ ო'ფლინმა, UFG Asset Managemen-დან, მაინც იპოვა მსგავსება, რომლის შესახებაც სანტიაგოს კონფერენციაზე განაცხადა.

ჩილე და რუსეთი - ნედლეულის მქონე ქვეყნებია სტაბილური ეკონომიკითა და ინფლაციის დაბალი დონით. ო'ფლინის აზრით, კორუფციის პრობლემა რუსეთში გაზვიადებულია. ამ ქვეყნას მხოლოდ კარგი პიარი სჭირდება.

"რუსეთში ინვესტორები იაფი აქტივებითა და საფონდო ბაზრით უნდა მოვიზიდოთ, რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში ბევრად უკეთეს შედეგებს აჩვენებს, ვიდრე ინვესტორების უმეტესობა მიიჩნევდა. რუსეთის სახელმწიფო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ მხოლოდ 10 პროცენტია, არ არსებობს კონტროლი კაპიტალის ნაკადებზე, დაბალია გადასახადები," - ასეთ რეკლამას უწევს ექსპერტი რუსეთს, რომელიც კომპანიის პოსტონის განყოფილებას ხელმძღვანელობს აშშ-ში.

ამიტომ ო'ფლინი ცდილობს, რუსეთში ჩილეს საპენსიო ფონდები მოიზიდოს. მათ უფლება აქვთ, უცხოეთში აქტივების 80 პროცენტის ინვესტირება მოახდინონ. ამ მიზნით საზღვარგარეთ 52 მილიარდი დოლარის ინვესტიცია უკვე განხორციელდა.

UFG Asset Managemen საინვესტიციო კომანიაა, რომელიც რუსეთში ინვესტიციების მოზიდვით არის დაკავებული. უკვე განხორციელებული აქვს 1,2 მილიარდი დოლარის ინვესტიციები.

ყირგიზეთში პარლამენტში შეჭრის მცდელობა აღკვეთეს

ივა შილაკაძე

გუშინ ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში სერიოზული შეტაკება მოხდა მომიტინგეთა ჯგუფსა და პოლიციას შორის. საპროტესტო აქციის მონაწილეებმა პარლამენტის შენობაში შეჭრა სცადეს, მათ ჩამოხსნეს რკინის ალაყაფი, ნაწილმა იქამდე ღობეზე გადაძრომაც მოახერხა, თუმცა პოლიციამ და უშიშროების სამსახურებმა მათი შეჩერება სპეცსაშუალებების გამოყენებით შეძლეს. მომიტინგეთა ნაწილი დაპატიმრებულია, დანარჩენებს ეძებენ. ხელისუფლების განცხადებით, პროვოკაციის უკან ოპოზიციური პარტია დგას.

ყველაფერი მშვიდობიანი მიტინგით დაიწყო. ხალხი ოქროსა და ვერცხლის უმსხვილესი საბადოს "კუმტორის" ნაციონალიზაციას მოითხოვდა. ამ კომპანიის აქციების 100 პროცენტი კანადურ "Centerra Gold"-ს ეკუთვნის. ეს არის ოქროს მომპოვებელი კომპანია, რომელიც, ყირგიზეთის გარდა, საბადოს ამუშავებს მონღოლეთში, გეოლოგიურ დაზვერვას აწარმოებს რუსეთში, თურქეთსა და აშშ-ში. ამ კომპანიას ყირგიზეთის ბიუჯეტში ყველაზე დიდი თანხა შეაქვს. ის უზრუნველყოფს ქვეყნის მშპ-ს 10 პროცენტს, წარმოების მეოთხედს და ექსპორტის მესამედს. საბადოს მუშაობის პერიოდში მოპოვებულია 258,6 ტონა ოქრო და 78,5 ტონა ვერცხლი. ცოტა ხნის წინ ყირგიზეთის პარლამენტის "ეკონომიკურ კენეშის" კომისიამ მის მუშაობაში ბევრი დარღვევა აღმოაჩინა. "Kumtor Operating Co" ყველა ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ ქვეყნის კანონმდებლობის სრული დაცვით მოქმედებს. შარშან კომპანიას საბადოს გასაფართოებლად დამატებითი ტერიტორია - 4380 ჰექტარი გამოუყვეს სახელმწიფო ნაკრძალის სარჩაატერტაშის ფონდიდან, მაგრამ წელს ივლისში ეს განკარგულება გააუქმეს. "კუმტორი" ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი საბადოა მსოფლიოში.

მოსახლეობას საბადოს მფლობელებთან პრეტენზიები წინა წლებშიც ჰქონდა. მიმდებარე დასახლებული პუნქტების მცხოვრებლებმა 2010 წელს გადაკეტეს საბადოსკენ მიმავალი გზა და ამ კომპანიის მიერ ეკოლოგიისთვის გაღებული თანხების რამდენჯერმე გაზრდას მოითხოვდნენ.

3 ოქტომბერს მშვიდობიანი მიტინგი ბიშკეკის ცენტრში ყოველგვარი გართულებების გარეშე დაიწყო. ამ მოედანზე მდებარეობს პარლამენტის შენობა და პრეზიდენტის რეზიდენცია. თავიდან აქციაში დაახლოებით 150 კაცი მონაწილეობდა და შემდეგ მათი რაოდენობა ნელ-ნელა გაიზარდა, ორგანიზატორებს იმედი ჰქონდათ, რომ მათი რაოდენობა 3000 კაცს მაინც მიაღწევდა, თუმცა, პოლიციის შეფასებით, მხოლოდ 600-700 კაცი მოგროვდა. ხალხი მოითხოვდა პარლამენტის თავმჯდომარის ასილბეკ ჟეენბეკოვისა და პრემიერ-მინისტრ ჟანტორო სატიბალდიევის მათთან გასვლას და მიტინგზე სიტყვით გამოსვლას. პრეზიდენტი ალმაზბეკ ატამბაევი შვებულებაში იმყოფება და თურქეთში ისვენებს. ის საქმის კურსში ჩააყენეს და ყირგიზეთში, სავარაუდოდ, დღეს დაბრუნდება.

შემდეგ მიტინგზე უკვე გაისმა საშიში პროვოკაციული ლოზუნგები, კერძოდ, ხელისუფლების ხელში ჩაგდებისა და პარლამენტში შეჭრის თაობაზე. დაახლოებით 50-მა კაცმა, დეპუტატ კამჩიბეკ ტაშიევის ხელმძღვანელობით, რკინის ჭიშკარი ჩამოხსნა. მათ შენობაში შეჭრაც სცადეს. ხალხის ნაწილი ღობეზეც გადაძვრა. პოლიციამ მათ წინააღმდეგ რეზინის ტყვიები (სხვა მონაცემებით, რეზინის საფანტი), ხმოვანი ხელყუმბარები, რეზინის ხელკეტები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. მომიტინგეებმა მათ ქვები დაუშინეს. დაშავებულია 10 კაცი, მათ შორის, ორი პოლიციელი. რამდენიმე კაცი დაჭრილია, სამართალდამცავები აცხადებენ, რომ მათ რეზინის ტყვიები მოხვდათ. ძალოვნებმა, პრინციპში, უპრობლემოდ შეძლეს ხალხის გაფანტვა და მოედნის გაწმენდა. სამთავრობო შენობის გარშემო დაყენებულია დამატებითი დაცვა - სპეცრაზმი და ცხენოსანი პოლიცია. პარალელურად, განხორციელდა დეპუტატების ევაკუაცია.

სამართალდამცავებმა უკვე დაიწყეს ხალხის დაკავება და დაკითხვა. ორგანიზატორების ვინაობა მათ არ დაუსახელებიათ. შსს მინისტრმა ზარილბეკ რისალიევმა განაცხადა, რომ პასუხისმგებლობა მომხდარზე მთლიანად ეკისრება ოპოზიციური ფრაქციის "ატა-ჟურტის" (სამშობლო) ხელმძღვანელს სადირ ჟაპაროვს, რომელიც იმ დროს პარლამენტის სხდომას ესწრებოდა. კამჩიბეკ ტაშიევიც მისი თანამებრძოლია. ეს წინა, განდევნილი პრეზიდენტის - ყურმანბეკ ბაკიევის ყოფილი მხარდამჭერი პარტიაა. მინისტრის სიტყვებით, მათ ეკუთვნოდათ მოწოდება ხელისუფლების ხელში ჩაგდების თაობაზე.

სასაკლაო ნიგერიის სტუდენტურ ქალაქში

სალომე ჯანიაშვილი

ნიგერიის სამართალდამცავების ინფორმაციით, ქალაქ მუბში შეიარაღებულმა პირებმა სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში, ოღონდ კამპუსის გარეთ, სულ ცოტა, 26 ადამიანი დახოცეს, ძირითადად, სტუდენტები. კიდევ 15 კაცი დაჭრილია. ტრაგედია ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მოხდა.

პოლიციის წარმომადგენელმა მოჰამედ იბრაგიმმა განაცხადა, რომ გარდაცვლილთა შორის 20-ზე მეტი სტუდენტია, რომელთაც თავდასხმელები სახელებით მიმართავდნენ. ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების განცხადებით, მინიმუმ 40 ადამიანი ან დახვრიტეს, ან დანებით დაჩეხეს.

თავდასხმა მოხდა რადიკალური დაჯგუფება "ბოკო ჰარამის" წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციიდან რამდენიმე დღის შემდეგ. ზოგიერთი მცხოვრები თავდასხმას სტუდენტურ პროფკაშირში არსებულ კონფლიქტს უკავშირებს.

ნიგერიაში სტუდენტური მოძრაობა სისხლიანი ისტორიებით მდიდარია, მაგრამ თუ აღმოჩნდება, რომ ეს თავდასხმა მართლაც სტუდენტურ კონფლიქტს უკავშირდება, ეს გახდება ყველაზე მძიმე ეპიზოდი მათი სისხლიანი შეტაკებების ისტორიაში.

"ბი-ბი-სის" კორესპონდენტი ნიგერიაში იულ როსი აცხადებს, რომ მობილური კავშირი მუბიში მას შემდეგ არ მუშაობს, რაც დაჯგუფება "ბოკო ჰარამმა," სადგური ააფეთქა. ამიტომ ინფორმაციის მიღება იმ ქალაქიდან, სადაც დანაშაული მოხდა, საკმაოდ რთულია.

შტატ ადამავას პოლიციის წარმომადგენელმა, რომელიც ტრაგედიის ადგილზე თავად ჩავიდა, განაცხადა, რომ ხელისუფლება მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას ჩაატარებს. ტრაგედიის მიზეზი ჯერ კიდევ უცნობია. პოლიციის წარმომადგენლის განცხადებით, თავდამსხმელები მსხვერპლებს იცნობდნენ: "ისინი სახელებით იძახებდნენ მსხვერპლს და კლავდნენ". ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა, რომელმაც ანონიმურად დარჩენა ისურვა, "ბი-ბი-სისთან" საუბარში აღნიშნა, რომ ადამიანებმა, რომლებიც სამხედრო ფორმაში იყვნენ გამოწყობილები, სტუდენტები ოთახებიდან გამოიყვანეს და სახელების დასახელება უბრძანეს. ამის შემდეგ ზოგიერთს ესროდნენ, ზოგიერთს კი დანით აყენებდნენ ჭრილობებს. დაღუპულთა ცხედრები შენობის გვერდით ელაგა. ამ ადამიანის განცხადებით, ძალადობის მიზეზები გაურკვეველია. დაღუპულთა შორის არიან როგორც ქრისტიანები, ისე მუსულმანები. "ყველა შეშინებულია," - განაცხადა მან და დასძინა, რომ ხოცვა-ჟლეტა დაახლოებით 2 საათს გრძელდებოდა. მისი თქმით, ქალაქს ბევრი სტუდენტი ტოვებს. ხელისუფლებამ ქალაქში კომენდანტის საათი შემოიღო და მოსახლეობას უბრძანა, საკუთარ სახლებში დარჩენილიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ მკველელობები რამდენიმე საათის განმავლობაში გრძელდებოდა, პოლიციამ ან არმიამ ვერ შეძლეს, დამნაშავეებისთვის ხელი შეეშალათ. უნივერსიტეტი დროებით დახურულია.

გასულ კვირას ნიგერიის არმიამ ქალაქ მუბიში მასშტაბური ოპერაცია ჩაატარა, რის შედეგადაც ათობით ადამიანი დააკავეს, რომელთაც დაჯგუფება "ბოკო ჰარამთან" კავშირი ედებათ ბრალად.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა ინფორმაცია შესაძლო თავდასხმაზე. ცოტა ხნით ადრე კამპუსის ტერიტორიაზე იპოვნეს წერილი, რომელიც უნივერსიტეტს სტუდენტების ევაკუაციისა და სამშაბათს ლექციების გაუქმებისკენ მოუწოდებდა. ეს ინფორმაცია კოლეჯის წარმომადგენელმაც დაადასტურა, მაგრამ რადგან თავდასხმა კამპუსის გარეთ მოხდა, მისი ხელმძღვანელობა მომხდარის შესახებ კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებს.

ჯერჯერობით არც ერთ დაჯგუფებას დანაშაულზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე არ აუღია. თავის მხრივ, ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ამ იცინდეტის უკან დაჯგუფება "ბოკო ჰარამი" დგას. ამ უკანასკნელების წარმომადგენლებს მუბიში მომხდარი მოვლენების შესახებ კომენტარი არ გაუკეთებიათ. ამ დაჯგუფების თავდასხმების შედეგად ნიგერიის ცენტრალურ და ჩრდილოეთ რაიონებში ათასობით ადამიანი დაიღუპა. "ბოკო ჰარამი" ადგილობრივ ენაზე ნიშნავს - "დასავლური განათლება ცოდვაა". ეს ისლამისტური გაერთიანება იბრძვის საერო განათლების წინაღმდეგ, ასევე, ნიგერიაში შარიათის წესების შემოღებისთვის. ისინი, ძირითადად, ქვეყნის ჩრდილოეთ და ცენტრალურ რაიონებში დათარეშობენ.

ირანი ურანის 60 პროცენტამდე გამდიდრებით იმუქრება

გუშინ ირანელმა კანონმდებელმა განაცხადა, რომ ქვეყანა ურანს 60 პროცენტამდე გაამდიდრებს, თუ ქვეყნის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან ე.წ "ექვსეულთან" (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, რუსეთი და გერმანია) მოლაპარაკებები ჩავარდება. აღნიშნულის შესახებ განცხადება პარლამენტის საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილემ მანსურ ჰაქიქატპურმა გააკეთა.

ამ დროისათვის ირანი ურანს უკვე 20 პროცენტამდე ამდიდრებს. ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ უკანასკნელი მოლაპარაკებები ხელშესახები შედეგის გარეშე დასრულდა. "იმ შემთხვევაში, თუ "ექვსეულთან" მოლაპარაკებები ჩავარდება, ირანელი ახალგაზრდები დახელოვნდებიან ურანის 60 პროცენტამდე გამდიდრებაში, რითიც წყალქვეშა ნავებისა და საოკეანო გემების საწვავით მომარაგება მოხდება," - განაცხადა ჰაქიქპატურმა.

ამერიკამ და ევროკავშირმა ქვეყანას ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის გამო მკაცრი სანქციები დაუწესეს. ირანი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ ბირთვულ პროგრამზე მუშაობა მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება.

ლავროვი: ამერიკასთან "გადატვირთვა" სამუდამოდ ვერ გასტანს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის თქმით, ამერიკამ და რუსეთმა ურთიერთობების გაძლიერებაზე უნდა იზრუნონ, ვინაიდან "გადატვირთვა" სამუდამოდ არ გაგრძელდება. აღნიშნულის შესახებ ლავროვმა "კომერსანტისათვის" მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა: "თუ ჩვენ "გადატვირთვის" შესახებ ვსაუბრობთ, ისევ კომპიუტერული ტერმინოლიგია რომ ვიხმაროთ, ის სამუდამოდ ვერ გასტანს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის "გადატვირთვა" კი არა, პროგრამის მარცხი იქნება. ურთიერთობების განვითარებაზე უნდა ვიფქროთ," - აღნიშნა ლავროვმა.

მისი თქმით, ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება კავშირებს გააუმჯობესებს ორ ქვეყანას შორის, რომლებიც "ცივი ომის" პერიოდში მეტოქეები იყვნენ, თუმცა ზოგიერთი ნაბიჯის გადადგმა ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ უნდა მოხდეს.

როგორც ცნობილია, საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელთა კანდიდატი მიტ რომნი მოქმედ პრეზიდენტ ბარაკ ობამას რუსეთთან ძალიან რბილ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს და რუსეთს ამერიკისათვის "ნომერ პირველ გეოპოლიტიკურ მტრად" ახასიათებს.

ევროპულ ატომურ ელექტროსადგურებზე "ასობით პრობლემა" აღმოაჩინეს

ბირთვული უსაფრთხოების ევროპული სააგენტოს მიერ მომზადებული მოხსენების შედეგად, ევროპის სახელმწიფოებში მომუშავე ატომურ ელექტროსადგურებზე "ასობით პრობლემაა" აღმოჩენილი. მათ გამოსასწორებლად საჭიროა 25 მილიარდი ევრო (32 მილიარდი დოლარი). ამ მონაცემებმა მედიაში უკვე გაჟონა, თუმცა მოხსენების ოფიციალური პრეზენტაცია დღეს არის დაგეგმილი. კვლევა ევროკომისიამ ატომურ ელექტროსადგურ ფუკუსიმაზე 2011 წელს მომხდარი ავარიის შემდეგ შეუკვეთა. ევროპის 143 ატომური სადგურიდან, ფაქტობრივად, ყველას მოდერნიზაცია და უსაფრთხოების დამატებითი სისტემების დაყენება სჭირდება. გაირკვა, რომ ზოგ მათგანს არ შეუსრულებია ის რეკომენდაციებიც კი, რომლებიც მათ უსაფრთხოების გასაძლიერებლად მიიღეს აშშ-სა და ჩერნობილში ატომურ ელექტროსადგურებზე მომხდარი ავარიების შემდეგ. მაგალითად, საფრანგეთში ატომური სადგურები ელექტროენერგიის 80 პროცენტს გამოიმუშავებენ. იქ მოქმედი 58 სადგურიდან არცერთი არ არის მთლიანად გამართული და უსაფრთხო. თუმცა ბირთვული სფეროს სპეციალისტებმა ევროპის ხელისუფლების წარმომადგენლებს ურჩიეს, ამ თემაზე საუბრისას სიფრთხილე გამოიჩინონ და კარგად შეარჩიონ გამონათქვამები, რომ "საზოგადოების ნდობა არ შეარყიონ".

ეკოლოგები კი აღნიშნავენ, რომ ბირთვული ენერგიის ევროპული სააგენტოს დასკვნები ძალიან ზედაპირულია. მათი სიტყვებით, კვლევა არ შეხებია ატომური სადგურების მუშაობის ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა მოძველებული ტექნოლოგიები, ტერორისტული შეტევების შესაძლებლობა, აგრეთვე ადამიანური შეცდომებისგან მომდინარე საფრთხე. ევროპარლამენტის ფრაქციის "მწვანეები/ევროპული თავისუფალი ალიანსი" თანათავმჯდომარემ რებეკა ჰარმსმა განაცხადა, რომ "სერიოზული კვლევის შემთხვევაში, კომისიას საშიში და მოძველებული სადგურების დახურვის რეკომენდაცია უნდა გაეცა.

ფუკუსიმას ავარიამ სახელმწიფოების სხვადასხვა რეაქცია გამოიწვია. მაგალითად, გერმანიამ გადაწყვიტა, 2022 წლიდან ყველა ატომური ელექტროსადგური დახუროს და ახალ ტექნოლოგიებზე გადავიდეს, ხოლო საფრანგეთმა, პირიქით, ამ სფეროში ახალი ინვესტიციები ჩადო (ალბათ ეს უსაფრთხოების გაძლიერებასაც მოხმარდება).

ჰონკონგთან გემების შეჯახების გამო ექვსი ადამიანი დააპატიმრეს

ორი დღის წინ ჰონკონგთან მომხდარი გემების ავარიის გამო, რომელსაც, სულ ცოტა, 37 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა (ამის შესახებ დაწვრილებით წერდა "24 საათი"), პოლიციამ უკვე დააპატიმრა ეჭვმიტანილები. კერძოდ, დაკავებულია 6 კაცი ორივე ეკიპაჟიდან. პოლიცია ხალხის დაღუპვაში მათ ბრალეულობას იძიებს.

მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში

2012

ოქტომბერი

18/10/12 - 19.00

კამერული მუსიკის კონცერტი

მონაწილეობენ: ელისო ვირსალაძე, ნატალია გუტმანი, ინგოლფ ტურბანი, ედუარდ ბრუნერი, ნოდარ ჟვანია, გია ქობულაშვილი, მიხეილ ქართველიშვილი, იანგ-ჯი ბაეკი, ჟააკო ლუომა, ზორა სლოკარი

პროგრამაშია: მოცარტი - დივერტისმენტი KV 229 სი ბემოლ მაჟორი
მოცარტი - კვინტეტი #K452 მი ბემოლ მაჟორი
ბეთჰოვენი - სეპტეტი თხზ.20 სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტებისათვის

20/10/12 - 19.00

კამერული მუსიკის საღამო

მონაწილეობენ: ელისო ვირსალაძე, ინგოლფ ტურბანი, ნატალია გუტმანი, ნოდარ ჟვანია, მარია კაგანი

პროგრამაშია: ბრამსი - საფორტეპიანო კვინტეტი ფა მინორი

21/10/12 - 19.00

ფესტივალის დასკვნითი კონცერტი

მონაწილეობენ: საფესტივალო სიმფონიური ორკესტრი დირიჟორი - ანატოლი ლევინი

სოლისტები: ელისო ვირსალაძე, ლუკას ნიკოლაი ბლაჰერი ედუარდ ბრუნერი, გია ქობულაშვილი, ჟააკო ლუომა, ზორა სლოკარი

პროგრამაშია: მოცარტი - სინფონია კონჩერტანტე შოპენი - კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის #1 მი მინორი შუმანი - კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის.

მასალები მეხსიერების მუზეუმისათვის

პირველი გვერდიდან

რაც იცის, უმეტესად მითის საბურველშია გახვეული, საიდანაც რეალური სურათის შექმნა ძალიან რთულია. პროექტი ითვალისწინებს ექსპოზიციის შექმნას ბიბლიოთეკაში არსებული თუ ემიგრაციაში დაცული კოლექციებიდან. ამავე დროს, საზოგადოებას საშუალება ექნება, გაეცნოს ამ კოლექციების ციფრულ ვერსიებს.

პირველი ქართული რესპუბლიკის დარბაზის ექსპოზიციის შესავსებად ცოტა ხნის წინ ეროვნულ ბიბლიოთეკას საფრანგეთის ქართველ ემიგრანტთა სოფელ ლევილის არქივიდან წიგნები, ფოტოები და პერიოდიკული ლიტერატურა გადმოეცა. ამ მიზნით ლევილში იმყოფებოდნენ ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე და დეპარტამენტის თავმჯდომარეები ემზარ ჯგერენაია და ლევან თაქთაქიშვილი, რომელთაც ჩამოიტანეს რამდენიმე ოჯახის კერძო კოლექცია და ლევილის ბიბლიოთეკის ის მასალები, რომელთა უმრავლესობა საქართველოში აქამდე წარმოდგენილი არ ყოფილა. "გვინდა, შევქმნათ სამეცნიერო-პოპულარული ტიპის დარბაზი, სადაც ადამიანებს შეეძლებათ, თვალი გადაავლონ ქართველ ემიგრანტთა ისტორიას, სამთავრობო ემიგრაცია იქნება ეს თუ ის ადამიანები, ვინც კომუნისტების წინააღმდეგ გამოდიოდნენ."

როგორც გიორგი კეკელიძე გვიხსნის, მოლაპარაკებებს საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. არქივებთან დაკავშირებით საფრანგეთის ქართველ ემიგრანტებთან ურთიერთობა საფრთხილო და ფაქიზი საკითხია, რადგან მათ საქართველოსთან თანამშრომლობის საკმაოდ ცუდი გამოცდილება აქვთ. ვინც ჩადიოდნენ, ორგანიზაციისა თუ კერძო ინიციატივების სახით, სამწუხაროდ, დანაპირებს არ ასრულებდნენ და მათ ბევრი რამ დაკარგეს ფოტოს, ხელნაწერისა თუ გამოცემების სახით. დაკარგეს ერთადერთი ეგზემპლარები, რაც მათთვის ძალიან ძვირფასი იყო. "ჩვენ დავპირდით, რომ ყველა კოლექციას, რაც კი გადმოგვეცემოდა, ექსპოზიციურად წარმოვადგენდით. ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ მათთვის სენსიტიურად ძალიან რთული იყო ერთადერთ ეგზემპლარებთან შელევა, შევთავაზეთ, დაეთმოთ ის წიგნები თუ ჟურნალ-გაზეთები, რაც რამდენიმე ცალად ჰქონდათ, ხოლო რაც ერთადერთი იყო, მის სკანირებას გავაკეთებდით. მართლაც, ჩავიტანეთ სკანერი და იმ 5-6 დღეში, რაც იქ დავყავით, ასლების გადაღებას მოვანდომეთ," - ამბობს გიორგი კეკელიძე.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დელეგაციას დახმარებას უწევდა გიორგი მამულია, საფრანგეთში მოღვაწე ქართველი, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა ქართული ემიგრაციის თემაზე და შეგროვილი აქვს უმარავი მასალის ფოტოვერსიები, რაც მან ემიგრანტთა ოჯახებში გადაიღო. მასვე ეკუთვნის იდეა, საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა თუ სხვა ორგანიზაციებში დაცული ქართველ ემიგრანტთა დოსიების მოძიების შესახებ. ქართველ პოლიტიკურ დევნილებს, რომელთა უმრავლესობა სამხედრო პირი, პოლიტიკური პარტიის წევრი ანდა მთავრობის წარმომადგენელი იყო, საფრანგეთის ხელისუფლება ცალკე განყოფილებას უძღვნიდა. როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი აღნიშნავს, ამ მასალების მოძიება და ასლების გადაღება კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება მეხსიერების მუზეუმის შესავსებად.

ნოე ჟორდანია და ქართული მთავრობა

საფრანგეთის ქართული ემიგრაციის მასალებზე მუშაობა 1980-იან წლებში დაიწყო, მაგრამ მაშინ კვლევას მასშტაბური სახე ვერ მიეცემოდა. როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი ამბობს, გასული საუკუნის 90-იანი წლებამდე საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას უფლებაც კი არ ჰქონდა, შეენახა ემიგრაციაში გამოცემული ქართული პერიოდიკა თუ ლიტერატურა - მიხაკო წერეთლის ნაშრომი "ვეფხისტყაონის" შესახებ თუ კოკა ჩხენკელის შედგენილი ლექსიკონებიც კი სპეციალურ ფონდში იყო მოთავსებული და უშიშროება ყველა ადამიანს აღნუსხავდა, ვინც მათზე მოთხოვნას გააკეთებდა. ასე რომ, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ეროვნულ ბიბლიოგრაფიაში დიდი თეთრი ლაქაა ემიგრაციაში გამოცემების თვალსაზრისით. მისი შევსება, ბუნებრივია, არქივებიდან უნდა მოხდეს.

"საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა პოპულარობით სარგებლობს ემიგრანტთა შორის. სამშობლოდან წასული ქართველების ნატვრა იყო, საკუთარი წიგნები და გამოცემები ეროვნულ ბიბლიოთეკაში ყოფილიყო დაცული. როცა კალისტრატე სალია წიგნებს აგზავნიდა, მას ან უშიშროება იღებდა, ანდა სპეციალურ ფონდში ათავსებდნენ. ვთვლით, რომ ამ ლიტერატურის მოძიება კიდეც დაგვაგვიანდა. ბიბლიოთეკას გადმოეცა ნოე ჟორდანიას პირადი ბიბლიოთეკა. გვინდა, პირველი პრეზიდენტის ბიბლიოთეკა ცალკე ექსპოზიციად წარმოვადგინოთ. ჩვენს მფლობელობაშია მისი მაგიდის მოწყობილობაც. გრიგოლ დიასამიძის პირად ბიბლიოთეკას გვაძლევს ნიუ იორკში მცხოვრები მისი შთამომავალი ნინა ვაჩნაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის, ელიზბარ ვაჩნაძის ქალიშვილი. გიორგი კვინიტაძის ქალიშვილმა გადმოგვცა მამამისის ალბომი - ღია ბარათებითა და მიწერმოწერით. გიორგი გვაზავას შვილიშვილმა მანანა თაქთაქიშვილმა მოგვცა გიორგი და ჯამლეტ გვაზავების ფოტოალბომის ციფრული ვერსია და მათ მიერ გამოცემული პერიდიკა - ჟურნალ "პრომეთეს" სრული კოლექცია. სალომე ზურაბიშვილი უახლოეს მომავალში გადმოგვცემს თავისი მეუღლის ჯანრი კაშიას პირად კოლექციას. კარლო ინასარიძის გამოცემული ლიტერატურა გადმოგვცა მისმა მეუღლემ, ასევე მეუღლემ გადმოგვცა გიორგი წერეთლის გამოცემული ჟურნალ "გუშაგის" ნომრები. ამ დარბაზში პირველი რესპუბლიკის ყველა პარტიის მასალა იქნება წარმოდგენილი. გაგვიხარდება, თუ კოლექციის შევსებაში თბილისში მცხოვრები ემიგრანთა შთამომავლებიც ჩაერთვებიან და არქივებს გვათხოვებენ. ვპირდებით, რომ ასლებს გადავიღებთ და რამდენიმე დღეში უკანვე დავუბრუნებთ. ასევე კარგი იქნება, თუ ჩაერთვება ქართველთა ლეგიონის შთამომავლებიც, რათა შევძლოთ, წარმოდგენა შევიქმნათ მათზე. ეს საკითხი ტაბუდადებული იყო საბჭოთა დროს და ქართველ ემიგრანტთა ლეგიონის შესახებ ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი," - გვითხრა ლევან თაქთაქიშვილმა.

პირველი ქართული რესპუბლიკის დარბაზში წარმოდგენილი იქნება ის მასლებიც, რაც აქამდე ბიბლიოთეკის მფლობელობაში არსებობდა: ეს არის შვეიცარიიდან ჩამოტანილი თეიმურაზ ბაგრატიონის ფონდი, ვიქტორ ნოზაძის გამოცემები, ნოე რამიშვილის ვაჟის - აკაკი რამიშვილის პირადი არქივი, ლიტერატურა ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ, პარიზში გამომავალი ჟურნალის "ბედი ქართლისას" სრული კოლექცია და სხვა.

როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები აღნიშნავენ, მათ მიზანს არ შეადგენს ლევილის ფონდის მთლიანად საქართველოში ჩამოტანა. ამ ბიბლიოთეკას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთში ემიგრანტებისთვის თუ, ზოგადად, ქართული ემიგრაციის ისტორიისთვის. ხოლო, პარალელურად, საფრანგეთის ემიგრანტთა ახალ თაობასთან ერთად, ქართული ბიბლიოთეკის შექმნაზე ზრუნვა დაიწყო. ამისათვის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე დაჩი ჩაგანავა უკვე ეძებს ადგილს ბიბლიოთეკის განსათავსებლად, სადაც თავს მოიყრის თანამედროვე თუ კლასიკოსთა ნაწარმოებები. თავის მხრივ, ეროვნული ბიბლიოთეკა მოლაპარაკებას იწყებს ქართულ გამომცემლობებთან, რათა უსასყიდლოდ გადასცენ წიგნები უცხოეთში გახსნილ ქართულ ბიბლიოთეკებს (და არა მხოლოდ საფრანგეთში), რაც არანაკლებ აქტუალური და საშური საქმეა და, კულტურული ინფორმაციის გაცვლის გარდა, პრაქტიკულ მიზანს ემსახურება - ქართველ ემიგრანტთა ახალმა თაობამ მშობლიური ენა არ დაივიწყოს.

გაბრიაძის დასი და გამოფენა მოსკოვში

რევაზ გაბრიაძის მარიონეტების თეატრი 2-დან 11 ნოემბრამდე მოსკოვში გასტროლებს გამართავს. "თეატრალური ხელოვნების სტუდიის" სცენაზე დასი "რამონასა" და "სტალინგრადს" ითამაშებს.

"რამონა" წარმოდგენაა ომისშემდგომი საბჭოთა კავშირის ორი მატარებლის სიყვარულის შესახებ. როგორც რეზო გაბრიაძე აღნიშნავს, ამ სპექტაკლში ვხვდებით მისთვის საყვარელ ორ მოტივს - მატარებელსა და შაპიროს. ცირკი ჩადის ქალაქში, სადაც მატარებელი რამონა დგას და უცდის სატრფო ერმონს. წარმოადგენაში მარიონეტებს გაახმოვანებენ რუსი მსახიობები - ჩუპლან ხამატოვა, სერგეი გარმაში, რომან კარცევი და სხვები.

ამას გარდა, თეატრი წარადგენს განუმეორებელ "სტალინგრადსაც", რომელიც 1996 წელს დაიდგა და ნაჩვენები იყო საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, აშშ-სა და სხვა არაერთი ქვეყნის თეატრებში. წარმოდგენაში თითქმის სრულად არის გამორიცხული ომის სცენები, მაგრამ იმ პირად ისტორიებში, რომლებსაც თოჯინებით ათამაშებენ, კარგად ჩანს ყოველივე, რაც ომს მოაქვს ადამიანებისთვის, რომლებიც საბოლოოდ იღუპებიან.

ვიდრე გაბრიაძის მარიონეტების თეატრის საგასტროლო წარმოდგენები დაიწყება, მოსკოვის პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნება გამოფენა "რეზო გაბრიაძე. ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა". ის გაიხსნება 16 ოქტომბერს და გააერთიანებს გაბრიაძის სხვადასხვა პერიოდის 100 ნამუშევარს, სხვადასხვა სერიებიდან.

პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში რევაზ გაბრიაძის გამოფენა მუზეუმის ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში იმართება. პროექტი ითვალისწინებს იმ ხელოვანების მხატვრული ნამუშევრების საზოგადოებისთვის გაცნობას, რომლებიც ცნობილნი გახდნენ არა სახვით ხელოვნებაში მოღვაწეობით, არამედ რომელიმე სხვა დარგში მიღწეული წარმატებებით. ამ სერიით უკვე გამართულ გამოფენებს შორის არის სერგეი ეიზენშტეინის, ფრანკო ძეფირელის, იური ნორშტეინის, ტონინო გუერას გამოფენები. "მეორე ნამუშევრის" საგამოფენო სერიის ფარგლებში ასევე მზადდება ჰერმან ჰესეს აკვარელის და სვიატოსლავ რიხტერის ფერწერის ექსპოზიციები.

აღსანიშნავია ისიც, რომ, მუზეუმის პროექტის სახელწოდების ("მეორე ნამუშევრი") მიუხედავად, რეზო გაბრიაძისთვის მხატვრობა არა მეორადი, არამედ პირველადი გატაცებაა.

გამოფენაზე, ფერწერისა და გრაფიკის გარდა, მარიონეტების თეატრის ძველი თოჯინები გამოიფინება. ექსპოზიციის ხილვას პუშკინის მუზეუმის დამთვალიერებელი 18 ნოემბრამდე შეძლებს და შემდეგ მას რუსულ მუზეუმში გადაიტანენ.

რაც შეეხება დასის გასტროლებს. რეჟისორის, მხატვრის, სცენარისტისა და სკულპტორის - რევაზ გაბრიაძის მიერ 1981 წელს დაარსებული მარიონეტების თეატრის დასი მოსკოვიდან რუსეთის რამდენიმე ქალაქში გაემართება: სანკტ-პეტერბურგში, ეკატერინბურგში, პერმში, ნოვოსიბირსკში, სამარასა და როსტოვში. ტურნეს ბოლოს კი დაგეგმილია რიგასა და კიევში გამგზავრება.

24 საათი

ლიზას ძვლები და ორი სახე

ბოლო დღეებში მეტისმეტად გააქტიურდა დისკუსიები "მონა ლიზას" შესახებ. ვინ იყო ის? - ეს კითხვა მეტ-ნაკლებად წარსულს ეკუთვნის. ახლა მსჯელობენ იმაზე, თუ როგორი იყო ქალბატონი, რომელმაც დიდ და ვინჩის ეპოქალური ტილო შეაქმნევინა.

სწორედ მისი სახის აღსადგენად, 1 წლის წინ არქეოლოგებმა ფლორენციაში გათხრები დაიწყეს. რამდენიმე დღეა, აღნიშნულმა გათხრებმა მსოფლიო მედიის ყურადღება დაიმსახურა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლიზა ჯერალდინის საფლავის გათხრებისას კიდევ ორი ქალბატონის ძვლები აღმოაჩინეს. ნეშტის ნაშთები აღმოჩენილია ზუსტად იქ, სადაც ფიქრობდნენ, რომ 1542 წელს დაიკრძალა ჯერარდინი. ეს არის წმინდა ურსულას სახელობის ძველი მონასტრის ტერიტორია ფლორენციაში. აღნიშნული აღმოჩენა საქმეში უფრო ღრმად ჩახედულთათვის მოულოდნელი არ ყოფილა. მთელი წლის განმავლობაში ამ ადგილას 7 ქალბატონის ძვლები აღმოაჩინეს.

ყველაზე ბოლო აღმოჩენა 2 ოქტომბერს მოხდა. ერთი ნეშტის ძვლები სრულყოფილად არის ნაპოვნი, მეორესი - მხოლოდ ნაწილობრივ. როგორც არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი სილვიო ვინჩეტი აღნიშნავს, მალე დაიწყება კვლევა, თუ როდის და რა ვითარებაში დაკრძალეს ეს ადამიანები იმ ტაძრის საკურთხეველთან, რომელიც ლიზას ცხოვრების წლებში აიგო.

ცნობილია, რომ ლიზა ჯერარდინიმ სიცოცხლის ბოლო წლები ურსულას სახელობის მონასტერში გაატარა, სადაც საკუთარ ქალიშვილებს უვლიდა, რომლებმაც ახალგაზრდობაშივე მონაზვნური ცხოვრება აირჩიეს. ისტორიკოსი ჯუზეპე პალანტი, რომელმაც მონასტრის ბიბლიოთეკა შეისწავლა, წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ლიზა უშუალოდ მონასტერში დაიკრძალა.

ლიზა ჯერარდინი ფლორენციელი ვაჭრის ფრანჩესკო დელ ჯოკონდოს მეუღლე გახლდათ. ვარაუდობენ, რომ სწორედ ფრანჩესკომ დაუკვეთა და ვინჩის თავისი მეუღლის პორტრეტის შესრულება. მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლეონარდომ კონკრეტულად ლიზა ჯერარდინი დახატა, პირველად მეთექვსმეტე საუკუნეში ხელოვნების ისტორიკოსმა, თავად მხატვარმა და არქიტექტორმა ჯორჯო ვაზარიმ გამოთქვა. ჯორჯო ვაზარი აღორძინების პერიოდის ისტორიკოსია, რომელმაც თავისზე უფროსებისა და თანამედროვეების შესახებ ვრცელი ინფორმაცია გააერთიანა ნაშრომში "ყველაზე ცნობილი მხატვრების ისტორია".

ძირფესვიანი კვლევა დაიწყება მაშინ, როდესაც თავის ფორმისა და სხვა დეტალების მიხედვით დაადგენენ, თუ რომელი ჩონჩხი არის ყველაზე ახლოს ლეონარდო და ვინჩის ლიზასთან.

სხვათა შორის, მკვლევარებისთვის მნიშნელოვან მასალას წარმოადგენს რამდენიმე დღის წინ გამოვლენილი ნამუშევარი, რომელიც კომპოზიციურად ძალიან ჰგავს და ვინჩის მონა ლიზას პორტრეტს და მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ის იმავე ავტორის პირველადი, საცდელი ვერსიაა. მაგრამ ამ მოსაზრებას დღითიდღე ბევრი კრიტიკოსი უჩნდება. თუმცა ფაქტია, თუ დადგინდა, რომ მეორე ტილოც ლეონარდოს ეკუთვნის, ბევრად მალე მოხდება იმ სახის დანახვა, როგორი სახითაც ლიზა ჯერარდინი დელ ჯოკონდოს სახეს იტალიელი მეცნიერები წარმოიდგენენ. ყველაზე დიდი იტალიელი მხატვრის ხედვა უკვე დიდი ხანია ცნობილია.

24 საათი

საჯარო ლექციები ეროვნულ ბიბლიოთეკაში

3 ოქტომბერი, 18 სთ.
მაისურაძე გიორგი, ფილოსოფოსი, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მოხსენება: "პროვინციალიზმი: კულტურული სემანტიკა და სოციალური რეპრეზენტაციები"

10 ოტომბერი, 18 სთ.
ანდრონიკაშვილი ზაალი, ლიტერატურათმცოდნე, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მოხსენება: "ხალხთა სტუმართმოყვარეობა: ეთნიკური ნაციონალიზმის გენეალოგია"

17 ოქტომბერი, 18 სთ.
გიგინეიშვილი ლევანი, მედიევისტი, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მოხსენება: "სოკრატე და პოლიტიკა".

24 ოქტომბერი, 18 სთ.
ბექა მინდიაშვილი, თეოლოგი, სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი
მოხსენება: "ეკლესიის ძალაუფლება".

31 ოქტომბერი, 18 სთ.
ლევან აბაშიძე, თეოლოგი, ფიზიკოსი
მოხსენება: "ქრისტიანული სარწმუნოება და თანამედროვე მეცნიერება".

7 ნოემბერი, 18 სთ.
ჯავახია ბეჟან, მედიევისტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერისტეტის სრული პროფესორი
მოხსენება: "რომის იდეა შუა საუკუნეების საქართველოში"

14 ნოემბერი, 18 სთ.
გია ნოდია, პოლიტოლოგი, ილიას უნივერსიტეტის სრული პროფესორი
მოხსენება: "სეკულარიზაცია თუ დესეკულარიზაცია: თანამედროვე ტენდენციები"

21 ნოემბერი, 18 სთ.
გაბრიელე ბრაგანტინი, მღვდელი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
მოხსენება: "მე-13 საუკუნე: ეკლესიათა გაერთიანების მცდელობა"

28 ნოემბერი, 18 სთ.
ცოფურაშვილი თამარ, ფილოსოფოსი, ასოცირებული პროფესორი, ილიას უნივერსიტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მოხსენება: "ქრისტიანობა, როგორც თანასწორობის რელიგია"

5 დეკემბერი, 18 სთ.
გიგა ზედანია, ფილოსოფოსი, სრული პროფესორი
ილიას უნივერსიტეტის მოდერნულობის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორი
მოხსენება: "სტუმართმოყვარეობის პრაქტიკები: ფილოსოფია, რელიგია, ლიტერატურა"

12 დეკემბერი, 18 სთ.
გიორგი სანიკიძე, აღმოსავლეთმცოდნე, სრული პროფესორი
ილიას უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი
მოხსენება: "ისლამი, სეკულარიზმი და ვესტერნიზაცია"

19 დეკემბერი, 18 სთ.
თამარ პატარიძე, ასიროლოგი
ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი
მოხსენება: "სირიული ეკლესიები: ისტორიული და თანამედროვე კონსტექსტი"

26 დეკემბერი, 18 სთ.
თემურ ბუაძე, თეოლოგი
თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი
მოხსენება: "ღმერთის იდეა ანტიკურ სამყაროში"

მოდერატორი:
დავით თინიკაშვილი
ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტი

ერთი ბურთის პროფესიონალი

ნატა დავიდოვი

ხუან მონაკო

ორ დღეში ერთ პერსონაზე ორჯერ დაწერა რაღაც ამბავში, ბევრია. რაღაც ამბავში, საინტერესო. რაღაც ამბავში, არგენტინული. ხუან მონაკო ჯერ დარენ არონოვსკია. სპილბერგი არგენტინაში დელ პოტროა. რიდლი სკოტი - ნალბანდიანი. მერე ჩვენი ბიჭი მოდის. ხუან მონაკო ტანდილიდან. არგენტინა ჩოგბურთში პატარა კუნძულია. ხანდახან იქ პამპასების ექო და ბევრი მთიდან წამოღებული მტვერი გროვდება, ნიავს სახეს შეუშვერს და ისვენებს. ტანდილში ადრე ორი კორტი იყო. დღეს ბევრი კორტია. ტანდილი დელ პოტროა. ტანდილი მონაკოა და ტანდილში, ჩოგბურთზე სიარული კარგი ტონია. იდეაში, სულ ასე იყო. ხუან მონაკო არგენტინელებიდან მარიანო ზაბალეტაზე გაიზარდა. ზაბალეტა ნორმალური მოთამაშე იყო. ერთხელ თითქმის პირველი ოცეულის ვიზა დაირტყა. მონაკო დღეს პირველი ათეულის კრუპიეა.

ხუანი ჩოგბურთში გაიზარდა. ექვსი წლის გაბურძგნული ბავშვი ტანდილის საჩოგბურთო აკადემიაში მამამისის, ექტორის ძმაკაცმა, ჰერმანმა მიიყვანა. სენიორ ჰერმანი კარგი მზარეული, ცუდი ქმარი და პოპულარული მამაკაცი იყო. იძინებდა ცოლთან, იღვიძებდა საკუთარი რესტორნის შესასვლელში, ვისკის ბოთლთან ჩახუტებული. ან რომელიმე ფასიან ანგელოზთან. ჰერმანს უბნის ხულიგნებმა, რომლებსაც ტანდილის კარგი ბიჭები მფარველობდნენ, რესტორანი დაუწვეს და ბიძა უმუშევარი დარჩა. ჰერმანი თავის თავისუფალ დროს ხუანს აძლევდა. გაუარე ბავშვს, ჩაარტყი ექტორთან ერთად ვისკი, ჩაიწრუპე პირში ლიმონი და გაიქეცი კორტზე, ხუანს ვარჯიშზე რომ არ დააგვიანდეს.

Club Independiente მაშინ, ხუანს ვარჯიშზე ჩოგნის თრევა რომ ეზარებოდა, ორკორტიანი კომპლექსი იყო. ორი კორტი, ერთი გასახდელი, სამი პირსახოცი, ერთი მასაჟისტი და ერთი დამლაგებელი. მასაჟისტი და დამლაგებელი ერთი ქალბატონი, სენიორიტა ანტონეტა იყო. იტალიელი დედის და ჩილელი მამიკოს შვილი. მამიკოს კოკაინთან ახლობლობის დროს გული გაუჩერდა და დედა ტანდილში ისვენებდა. ტანდილის სასაფლაოზე. კომპლექსთან, იქვე, უბანში პატარა კაფე დადგეს. კაფე ორი მდიდარი მოსწავლისთვის. არა მონაკოსთვის. ერთი ჩიზბურგერი ორი დოლარი ღირდა. ორ დოლარად ხუანის ოჯახში გემრიელი კერძი მზადდებოდა. სენიორ ექტორს ბიზნესი არ წაუვიდა, ორწლიანი დასვენება ჰქონდა და ხუანის დედიკო, კრისტინა უმუშევარი არქიტექტორი იყო. ოჯახს რაღაცაში კი არა და, არაფერში არ უმართლებდა. ცოტა მერე ექტორი ბუენოს აირესში მიიწვიეს, კრისტინა რესპექტაბელურ კომპანიაში აიყვანეს და ხუანმა არგენტინის ჩემპიონატი მოიგო.

კორტზე სპრაიტის ბოთლები ყრია. დამლაგებელს დაეძინა, ან მისვლა დაეზარა. ხუანის მწვრთნელიც არ ჩანს. მარსელო გომესის დამ, მარტამ შვილი დაკარგა და ორჯერ "გასროკილ" გომესსაც ეზარება სამსახურში მისვლა. ხუანმა სპრაიტის ბოთლები ბინძურ ურნაში ჩაყარა, ჰერმანმა კორტი მორწყა და ხუანი კომპლექსის დირექტორის ოთახში შედის. ის ოთახი სულ ღია იყო, საკეტი გაფუჭებულია. ოთახში ორი ბურთი, ერთი ჩოგანი, დახეულ, დიდ და დალაქავებულ ცელოფანში ჩატენილი ბადე და საკანცელარიო წიგნია. წიგნში მოსწავლეების, დამლაგებლის, დირექტორის შვილების და რამდენიმე ფასიანი გოგონას საკონტაქტო ნომერია. ხუანს გამოაქვს ბურთები, მერე ბადე და ჰერმანთან ერთად მწვრთნელს უცდის. მარსელო გომესი აგვიანებს. მალე მოვა. გრუნტმაც მოიწყინა. მესამე დღეა, ტანდილში წვიმს და ონავარი წვეთების გარდა, გრუნტს არავინ არ მიესალმა, გახუნებულ ლოყაზე ხელი არ მოუთათუნა. არა რა, სასწრაფოდ რამე ტურნირია გასაკეთებელი. თუნდაც, უბნის კარგი ბიჭების ტურნირი. ის ბიჭები იცნობენ მონაკოს ოჯახს, იცნობენ და ლოთობენ მარსელო გომესთან ერთად, ვენებში ყველაფერს უშვებენ. კორტზე ვინმე უნდა შევიდეს. თუნდაც ისინი, ვინც იქ არ უნდა შედიოდეს. მალე ვარჯიში დაიწყება. ხუანი ღრუბლების საუბარს აკვირდება.

ცივა. ტანდილში აგვისტოსთან ერთად სიცივე მოდის. ხუანი გაყინული თითებით ამაგრებს ბადეს, კენჭებს კორტიდან ყრის, გრუნტს ასუფთავებს. ერთი ბურთი დაჭკნა, ვარჯიშისთვის არ წავა. არაფერში არ წავა. ხუანმა და მარსელომ ორსაათიანი ვარჯიში ერთი ბურთით უნდა ჩაატარონ. ხდება ხოლმე. ტანდილის საჩოგბურთო კომპლექსში ეს მოსულა. კორტზე სენიორ მარსელო შედის. მზის სათვალეს ერთი შუშა არ აქვს. სენიორ გომესს ჩოგანი არ აქვს. ვარჯიში ერთი ჩოგნით, ერთი დაძონძილი მწვრთნელით და ერთი ბურთით. პატარა ხუანმა ჯეკპოტი მოხსნა. Fuckin' brutal.

ხუან მონაკო: "ძალიან ხშირად, ვარჯიშზე ერთი ბურთი გვქონდა. სხვა ქვეყნები ჩოგბურთის განვითარებაში მილიონებს დებდნენ. ჩვენთან ჩოგბურთის განვითარება ერთი ბურთით მიდიოდა. მიხვედი, მოაწესრიგე კორტი, გაიქეცი, ცოტაც გაირბინე და თუ გაგიმართლებს, მწვრთნელი მოვა და ვარჯიში დაიწყება. მარსელო გომესმა ბევრი პრობლემა გადაშალა. ის ჩემი მეგობარი, მრჩეველი, უფროსი ძმა იყო. ტანდილში ყველა ერთმანეთს ეხმარება და თუ ვინმეს პრობლემა აქვს, ამ პრობლემას ერთად ვაგვარებდით. დღესაც ვმეგობრობთ. უბნებში გაუგებარი ხალხიც ცხოვრობს. ყველგან არიან გაუგებარი ტიპები. ზოგს არ ესმის, რომ ჩოგბურთი უკეთესია, ვიდრე ნარკობიზნესში შესვლა ან ქუჩაში დგომა. ქუჩა გაკვირდება და თუ რაღაცის გაკეთებას, შეცვლას ცდილობ, ხელს გიწყობს. ქუჩა ყველაფერს ხედავს და თუ იმსახურებ, შანსს გაძლევს. ეს შანსი ორჯერ მივიღე. პირველად, მარსელო გომესთან ერთად არგენტინის ჩემპიონი გავხდი. მერე, სანტიაგოში, ტურნირის დაწყებამდე სკეიტბორდზე ავილეწე და ხერხემალზე ოპერაცია გამიკეთეს. ექიმები ჩოგბურთის დავიწყებას მირჩევდნენ. მე ექიმები დავივიწყე. და ჩოგბურთში დავრჩი. ალბათ, გამიმართლა."

ტანდილში საჩოგბურთო გეტო იყო. ხუან მონაკო იზრდება, მარსელო გომესი უკვე კანონმორჩილი, წესიერი მწვრთნელია და ნიჭიერ ბიჭთან ერთად რამდენიმე ტურნირს იგებს. ბუენოს აირესში ჩოგბურთელებს ნორმალური პირობები აქვთ, რამდენიმე ბურთით ვარჯიშობენ, ცივილური მწვრთნელი ჰყავთ და არ ცელქობენ, ვარჯიშის დროს, შესვენებაზე ლუდს არ იღებენ. ბუენოს აირესი ცივილიზაცია და კარგი არგენტინაა. ტანდილი მაშინ გეტო იყო. მონაკო, ხუან მარტინ დელ პოტრო და კიდევ რამდენიმე კარგი ბავშვი იმ გეტოში გაიზარდა. მონაკომ პირველ ათეულამდე გაქაჩა, დელ პოტრომ ნიუ იორკში როჯერ ფედერერს შალაბანდი ხია და ფინალი მოუგო. ორმა არგენტინელმა არგენტინას ოცნება, გილერმო ვილასის, მარტინ ხაიტეს ემოცია დაუბრუნა. ტანდილიდან წამოვიდნენ გილერმო პერეს-როლდანი, მარიანო ზაბალეტა, მაქსიმო გონსალესი. გილერმოს მამამ, რაულმა ჯერ სამი კორტი მოაწესრიგა, დიდი სესხით პატარა კომლექსი ააწყო და რაულ პერეს-როლდანის საჩოგბურთო სანატორიუმში დღეს ბევრი ბავშვია. იმ კომპლექსში ერთზე მეტი ბურთი და რამდენიმე მწვრთნელია. დელ პოტრო იქ მასტერკლასებს ატარებს. მონაკო იქ უსახლკარო ბავშვებთან ერთად ვარჯიშობს და ბავშვები იმ მომენტში დელ პოტროები, ვილასები არიან. არგენტინა არგენტინულად მეგობრობს. ტანდილი არგენტინის ყველაზე თბილი უბანი გახდა. ტანდილში ჩადიან ლეო მესი, მარტინ პალერმო და ბოსი, დონ დიეგო.

ხუან მონაკომ ამ სეზონში ოთხი ტურნირი მოიგო. დელ პოტრო ლონდონის რეიტინგში უკვე მეექვსეა და თუ ითამაშებს (ბიჭი ისევ დალეწილია), დავიდ ფერერს გადაუჯოკრავს და პირველ ოთხეულს ჩამოუჯდება. ხუან მარტინი ტრავმამდე (2010) იქ, ოთხეულში იჯდა და ბევრს იგებდა. დელ პოტროსგან მოგება მონაკომაც დაამუღამა.

მონაკო: "არგენტინაში მაშინ კრიზისი იყო. ვარ 15 წლის, მინდა ჩოგბურთს ბოლომდე გავყვე და ქალაქში ერთადერთი საჩოგბურთო კომპლექსის ადგილზე სავაჭრო ცენტრის და აუზის აშენება უნდათ. ნუ, ეს უკვე თითქმის გადაწყვეტილია და ოჯახში ყველას ვეუბნები, რომ საჯარჯიშოდ და საცხოვრებლად ესპანეთში უნდა წავიდე. დედა წინააღმდეგია. იქ ვინ მოგხედავს, ყურადღებას ვინ მოგაქცევს... მამამ რამდენიმე ათასი დოლარი მაქვს გადადებული, შენი სწავლის ფულია და თუ ჩოგბურთში დარჩები, ეს ფული გამოიყენე და მიდი, შეუბერეო. მერე, ცოტა გვიან მარსელო გომესი მოვიდა. დაჯდა მამაჩემთან ერთად, თითო ჭიქა გადაკრეს. მარსელომ ჩოგანი და თავისი კეპი მაჩუქა. სენიორ გომესმა მამას უთხრა, შენი შვილი ჩემთვის მოსწავლეზე, მეგობარზე მეტია და თუ ფულს დავითრევ, ბარსელოინაში მეც ჩავალო. სენიორ გომესი ტანდილში დარჩა. მე ბარსელონაში ჩავედი. არგენტინაში ეკონომიკურმა კრიზისმა პიკს მიაღწია. მერე, იმ სავაჭრო ცენტრის აშენება გადაიდო და საჩოგბურთო კომპლექსი არ დაანგრიეს. ესპანეთში ბევრი პრობლემა მქონდა. ყველაფერი უფრო ძვირია, ვიდრე არგენტინაში, ვარ მარტო, არავის არ ვიცნობ. ვარჯიშზე ვიტკინე მუხლი და იქვე, კორტზე დამიმუშავეს. საღამოს, სახლში ტკივილმა მოიმატა და არ ვიცოდი, ვისთვის დამერეკა. გადავრეკე სახლში, დედას დაველაპარაკე. ესპანეთში შევიცვალე. ჩემები მენატრებოდა და თან, ბედნიერი ვიყავი, რომ ვაკეთებდი იმას, რის გამო არგენტინაში ბევრი რაღაც მოვითმინე. ჩოგბურთი ჩემი ცხოვრება იყო. დღესაც არის."

2010. ხუან მონაკოს ცუდი სერია. აგებს როლან გაროს პირველ წრეში გრეგა ზემლიასთან 6:7, 6:3, 5:7, 3:6. ცინცინატის მასტერსი და იაღლიში პირველ წრეში, ტიამო დე ბაკერთან 4:6, 7:6, 3:6. ვერ გადის ნიუ ჰეივენის ძირითადში. კვალიფიკაციაში ხუანს ფრანგმა გიიომ რუფენმა აარტყა 7:6, 6:3. US Open - პეტერ პოლანსკი, ტიპი პოლონეთიდან. რეიტინგში დაკარგული (205). მონაკო ამ გარჩევასაც აგებს, 2:6, 6:7, 3:6. ჩაგდებული ტესტი დევისის თასზე, მიკაელ ლოდრასთან 5:7, 6:4, 5:7, 3:6. ტოკიოში, ისევ პირველ წრეში მონაკო იურგენ მელცერმა დაამშვიდა 4:6, 6:4, 1:6. მაგარი ცუდი სერია.

ხუან მონაკო: "რაფაელ ნადალი მირეკავს, მეუბნება რას აკეთებ, რამე გეგმები თუ არ გაქვს, ტაილანდში ჩავიდეთ და შანხაის მასტერსამდე ერთად ვივარჯიშოთ, მოსულა? კი, აბა რა, მოსულა. მეორე დღეს ვარ ტაილანდში, სადაც რაფაელმა საინტერესო ექსკურსია მომიწყო. დილიდან წავიდა ვარჯიში და იმ სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო ტურნირი მქონდა. გავედი ნახევარფინალში, პროცესში მოვუგე ჯერ დე ბაკერს, შემდეგ მელცერს და ორ სეტში, მარიმ გამაჩერა. რაფაელი მეგობარია. ერთად ვვარჯიშობთ, ვიცნობ მის ოჯახს, ნადალი ჩემთან, ტანდილშია ნამყოფი. ორმა დღემ რაფაელთან ერთად შეცვალა ყველაფერი. ხუან მონაკო დაბრუნდა."

მონაკო მეორე დონეზე გავიდა. და ხუანზე ორ დღეში მეორედ ვწერთ.

ორ დღეში ერთ პერსონაზე ორჯერ დაწერა რაღაც ამბავში, ბევრია. რაღაც ამბავში, საინტერესო. რაღაც ამბავში, არგენტინული. ხუან მონაკო ჯერ დარენ არონოვსკია. სპილბერგი არგენტინაში დელ პოტროა. რიდლი სკოტი - ნალბანდიანი. მერე ჩვენი ბიჭი მოდის. ხუან მონაკო ტანდილიდან. არგენტინა ჩოგბურთში პატარა კუნძულია. ხანდახან იქ პამპასების ექო და ბევრი მთიდან წამოღებული მტვერი გროვდება, ნიავს სახეს შეუშვერს და ისვენებს. ტანდილში ადრე ორი კორტი იყო. დღეს ბევრი კორტია. ტანდილი დელ პოტროა. ტანდილი მონაკოა და ტანდილში, ჩოგბურთზე სიარული კარგი ტონია. ადრე, ექვსი წლის გაბურძგნული ბავშვი ტანდილის საჩოგბურთო აკადემიაში მამამისის, ექტორის ძმაკაცმა, ჰერმანმა მიიყვანა. ორი კორტი, ერთი გასახდელი, სამი პირსახოცი, ერთი მასაჟისტი და ერთი დამლაგებელი. მასაჟისტი და დამლაგებელი ერთი ქალბატონი, სენიორიტა ანტონეტა იყო.

ანტონეტასთან და ერთ ბურთით ხუან მონაკო აზრზე მოვიდა, კარგი ბიჭი, ასიანი არგენტინელი, სერიოზული ჩოგბურთელი გახდა. Vamos, bro, vamos!

ოლიმპიური კომიტეტის ხმაურიანი სესია გადავადებით დასრულდა

შოთა ხაბარელი ნაცლიშვილს კონკურენტუნარიან არჩევნებში მონაწილეობას ურჩევს

ლერი ხაბელოვმა მიზანშეუწონლად მიიჩნია არჩევნების ჩატარება

პირველი გვერდიდან

სეოკ-ის აღმასკომის გადაწყვეტილებით და სეოკ-ის წესდების შესაბამისად 3 ოქტომბერს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" საკონფერენციო დარბაზში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესია უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ სესიის დელეგატთა მხრიდან წინააღმდეგობამ, გია ნაცვლიშვილი აიძულა ღია კენჭისყრით არჩევნები 20 დეკემბრისთვის გადაეტანა. რეალურად კი რა და როგორ იყო ამას ერთგვარი სტენოგრამის სახით გთავაზებთ.

გია ნაცვლიშვილი: ის, რომ გაიმართა საპარლამენტო არჩევნები, ეს არაფერს არ ცვლის. ჩვენ ვართ ოლიმპიური კომიტეტი - აპოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც გამიჯნულია პოლიტიკისგან. არ მესმის რატომ უნდა ვიყოთ დამოკიდებული საპარლამენტო არჩევნებზე. ასე რომ, მივხედოთ საქმეს და სესია ჩვეულ რიტმში წავიყვანოთ.

ნაცვლიშვილის ამ შესავალს დარბაზიდან უმალ გამოემხაურნენ ოლიმპიური ჩემპიონები ლერი ხაბელოვი და კოალიცია "ქართული ოცნების" წევრი, დღეს უკვე პარლამენტარი შოთა ხაბარელი, რომლებიც იმ ვითარებაში, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატი ერთია მიზანშეუწონლად მიიჩნევდნენ არჩევნების ჩატარებას და საკუთარ არგუმენტებსაც ახმოვანებდნენ. ამასთან სეოკ-ის პრეზიდენტთან ადრეულ უთანხმოებებსაც იხსენებდნენ.

ერთი სიტყვით, სესია მხარეებს შორის პოლიტიკურ სარჩულში გახვეულ ხმამაღალ საუბარში გადაიზარდა და იქვე მოსარჩელე მხარეებმა - ხაბარელმა და ხაბელოვმა არჩევნების გადადების მოთხოვნაც წამოაყენეს.

გია ნაცვლიშვილი: კი ბატონო, არჩევნების გადადება ლეგიტიმურია, მაგრამ თუ გადავდებთ ყოველივე პოლიტიკურ სახეს მიიღებს.

ყველამ იცის და ვერ დამწამებს, რომ ოდესმე პოლიტიკური კუთხით ვმუშაობდი. თუ რომელიმე იტყვის, რომ გია ნაცვლიშვილი ვინმეს ხელს უშლიდა მუშაობაში და მხარში არ ედგა, ახლავე მოვხსნი საკუთარ კანდიდატურას.

შემეძლო საპარლამენტო არჩევნებში მიმეღო მონაწილეობა, მაგრამ ეს არ გამიკეთებია, რადგან თავი მივუძღვენი სპორტს. არცერთი პოლიტიკური მხარის მიმართ არასდროს არ დამიფიქსირებია ჩემი დამოკიდებულება...

ლერი ხაბელოვი: დემაგოგი ხარ!

შოთა ხაბარელი: სწორედაც რომ პოლიტიკურ შეხედულებებს იყენებდი.

გია ნაცვლიშილი: შოთა, რატომ ივიწყებ იმას, რომ მე მოგიყვანე ფედერაციაში?

შოთა ხაბარელი: ახლა ის დროა, ყველამ თვალებში ჩავხედოთ ერთმანეთს და ვთქვათ სიმართლე. სპორტი იყო პოლიტიზირებული. ყველა ფედერაციის სათავეში იყვნენ ნაციონალები. ასე აღარ შეიძლება. ქართული სპორტი ასე ვერ განვითარდება. დღეს სწორედ ქართული სპორტის ბედი წყდება.

თქვენ არჩევნები დანიშნეთ 3 ოქტომბერს. ანუ მაშინ, როდესაც საპარლამენტო არჩევნების შედეგები ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. კიდევ კარგი საქართველოს პრეზიდენტმა თადავ თქვა, რომ გადადის ოპოზიციაში, რასაც ალბათ, არც ელოდით.

...კი ბატონო, თქვენ მომიყვანეთ ფედერაციაში, მაგრამ თქვენვე გამიშვით - ჩვენიანი არ ყოფილხარო. კი ვიცი, რომ ბევრი გააკეთეთ სპორტისთვის და ჩვენ ამას არ დავივიწყებთ, მაგრამ ქართული სპორტისთვის სჯობს გადაიდოს ეს არჩევნები და ახალი კანდიდატებიც გამოჩნდებიან.

გია ნაცვლიშვილი: კი მაგრამ ჩვენ ოთხი წლის წინათ ერთად გადავწყვიტეთ, რომ არჩევნები ახლა უნდა ჩატარებულიყო. ამასთან არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ჩვენს ოფიციალურ გვერდზეც და სხვა საინფორმაციო საშუალებებში ყველას შევახსენეთ, რომ საქართველოს ეროვნული ოლიპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესია უნდა ჩატარებულიყო.

შოთა ხაბარელი: კი მაგრამ სპორტულ ფედერაციებში არაა ჩატარებული არჩევნები, რომელთა ხელმძღვანელებმაც უნდა აირჩიონ პრეზიდენტი. აქედან გამომდინარე არ გაქვთ უფლება კენჭი იყაროთ. არ გინდათ რომ კონკურენტი გყავდეთ?

გია ნაცვლიშვილი: მერედა დაგეყენებინათ თქვენი კანდიდატურა ან ახლა დააყენეთ.

ლერი ხაბელოვი: როდესაც 28 სპორტულმა ფედერაციამ წარგადგინათ ოლიმპიური პრეზიდენტობის კანდიდატად, განა ეს ზეწოლა არ იყო? ძიუდოს ფედერაციაში ახალი მისული იყავით და როგორ დავიჯერო, რომ ყველას უმალ შეაყვარეთ თავი. თქვენ, ნაციონალებმა მოგიყვანეს. დილარ ხაბულიანი (ძიუდოს ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი) რომ არ მოეხსნათ, თქვენ დაგიყენათ გვერდზე და ამით ერთგვარი დამცავი ფარი გაიკეთა თქვენი სახით.

...მეც ვამბობ, რომ თქვენ ბევრი გააკეთეთ ამ ოლიმპიურ ციკლში. შეიძლება ითქვას, შეუძლებელი გააკეთეთ კიდეც. რატომ უნდა დავუკარგო ადამიანს ის, რაც გააკეთა. სათქმელი უნდა ითქვას, მაგრამ სჯობს ჯერ ფედერაციებში ჩატარდეს არცევნები, სადაც ალბათ, ახალი სახეებიც მოვლენ და მერე ჩატარდეს არჩევნები. პირადად მე კი გიხდით დიდ მადლობას, რაც გააკეთეთ ქართული სპორტისთვის.

გია ნაცვლიშვილი: ახლა თქვენ ხართ ხელისუფლება და ჩემი შეგეშინდათ? თუ ყველა ბიულეტენს გადახაზავთ არჩევნები ისედაც გადაიდება. რაა ამაში რთული? თუ ამირჩევთ, ამირჩევთ თუ არა და გადაიდება არჩევნები. ეს ხომ დახურული კენჭისყრაა, სადაც ყველას თავისუფლად შეეძლება არჩევანის გაკეთება, მაგრამ მექმნება შთაბეჭდილება, რომ უბრალოდ არ გინდათ ჩემი კანდიდატურა.

შოთა ხაბარელი: თავად უნდა გინდოდეს კონკურენტუნარიანი არჩევნები.

...სიტყვა-პასუხის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჩატარებულიყო ღია კენჭისყრა, რომელიც თავის მხრივ გაარკვევდა იმას თუ ვინ იქნებოდა მომხრე და ვინ წინააღმდეგი გადადებულიყო საანგარიშო-საარჩევნო სესია. ექსპრომტად შეიქმნა დამთვლელი კომისიაც, რომელთა დათვლებითაც, რაც ისედაც თვალშისაცემი იყო, დელეგატთა უმრავლესობამ (ასეთი 42 აღმოჩნდა), არჩევნები 20 დეკემბრისთვის გადაიდო.

და ბოლოს, ხმაურიანი სესიის დასრულების შემდეგ კულუარებში ითქვა, რომ გია ნაცვლიშვილი საკუთარ კანდიდატურას ხსნისო.

საქართველო ფიფას რეიტინგში 21 საფეხურით დაწინაურდა

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ფიფას ოქტომბრის რეიტინგში მნიშვნელოვნად დაწინაურდა. თემურ ქეცბაიას შეგირდებმა ერთბაშად 21-საფეხურიანი წინსვლა განიცადეს და 86-ე ადგილიდან 65-ზე გადაინაცვლეს!

ოქტომბრის რეიტინგში გათვალისწინებულია იმ მატჩების შედეგები, რომლებიც საქართველოს ნაკრებმა სექტემბერში თბილისში ბელორუსისა (1:0) და ესპანეთის (0:1) ნაკრებებთან გამართა.

ცვლილებებია ფიფას რეიტინგის მოწინავეთა ათეულშიც. ასე მაგალითად ბრაზილიის ნაკრები 14-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა. კოლუმბიის ნაკრებმა კი ათეულის კარი შეაღო. სამხრეთამერიკელები 13 ადგილით დაწინაურდნენ და ახლა მეცხრე საფეხურზე იმყოფებიან.

რეიტინგს კვლავაც დამაჯერებლად ლიდერობს მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონი, 2014 წლის მუნდიალის შესარჩევში საქართველოს ნაკრების მეტოქე.

ესპანეთი. ჩვენს ჯგუფის ბინადარი საფრანგეთის ნაკრები რეიტინგში მე-13 საფეხურზეა, ბელორუსი 87-ზე, ხოლო ფინეთი 96-ზე.

ისიც ვთქვათ, რომ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მომდევნო შეხვედრები უწევს სტუმრად - 12 ოქტომბერს ფინეთში, ოთხი დღის შემდეგ კი ბელორუსში.

ფიფას რეიტინგი

1 (1). ესპანეთი..........................1611
2 (2). გერმანია..........................1459
3 (4). პორტუგალია..................1259
4 (7). არგენტინა........................1208
5 (3). ინგლისი...........................1196
6 (8). ჰოლანდია.........................1141
7 (5). ურუგვაი...........................1140
8 (6). იტალია.............................1106
9 (22). კოლუმბია.......................1102
10 (11). საბერძნეთი..................1029

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი

I ჯგუფი

13 (15). საფრანგეთი................1011
65 (86). საქართველო.................501
87 (76). ბელარუსი.......................410
88 (96). ფინეთი...........................407

ფინეთი ჭვაროსნებისთვის ირაზმება

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევს ბელორუსთან და ესპანეთთან შინ ჩატარებული მატჩების შემდეგ ფინეთთან და ბელორუსთან გასვლითი შეხვედრებით აგრძელებს. აქედან პირველი - 12 ოქტომბერს ფინეთთან თამაშია, რომელმაც უკვე გაახმოვანა 24 ფეხბურთელის სია.

ფინეთის ნაკრების მწვრთნელმა მიქსუ პაატელაინენმა იმ 24 ფეხბურთელის სია დაასახელა, რომლებსაც საქართველოს ნაკრებთან თამაშისთვის მოამზადებს 12 ოქტომბერს.

ესეც პაატელაინენის რჩეულები:

მეკარეები: ლუკაშ ჰრადეცკი ("ესბიერგი", დანია), ჰენრი სილანპიაა ("ტრომსიო", ნორვეგია), ნიკი მიაენპიაა ("ვენლო", ჰოლანდია);

მცველები: ნიკლას მოისანდერი ("აიაქსი", ჰოლანდია), იოონა ტოივიო ("იურგორდენი", შვედეთი), იუჰანი ოიალა ("იანგ ბოიზი", შვეიცარია), მარკუს ჰალსტი ("მალმიო", შვედეთი), კარი არკივუო ("ჰეკენი", შვედეთი), იუკა რაიტალა ("ჰერენვენი", ჰოლანდია), იერე ურონენი ("ჰელსინგბორგი", შვედეთი), პეტრი პასანენი ("ორჰუსი", დანია);

ნახევარმცველები: პაულუს არაიუური ("კალმარი", შვედეთი), კასპერ ჰიამიალიაინენი ("იურგორდენი", შვედეთი), რომან ერიომენკო, ალექსეი ერიომენკო (ორივე - "რუბინი", რუსეთი), ტიმ სპარვი ("გრონინგენი", ჰოლანდია), პერპარიმ ჰეტემაი ("კიევო", იტალია), ტონი კოლეჰმაინენი ("ჰიონეფოსი", ნორვეგია), მიკა ოიალა ("ინტერი", ფინეთი);

თავდამსხმელები: ტეემუ პუკი ("შალკე", გერმანია), ნიაზი კუქი ("ატრომიტოსი", საბერძნეთი), მიკა ვიაირინენი (ჰიკ, ფინეთი), ალექსანდერ რინგი ("გლადბახი", გერმანია).

...ფინეთი-საქართველოს შესარჩევი მატჩი ჰელსინკის "ოლიმპიურზე" გაიმართება, რომელიც 40 600 მაყურებელს იტევს.

გრეგის ნავახა

ზურაბ თალაკვაძე

კავაი ლეონარდი

კავაი ლეონარდი "სან ანტონიოს" მომავალია. ტიმ დანკანის, ტონი პარკერის, ემანუელ ჯინობილის ჯაზში მომავალი ლეონარდია. მოქნილი, აგრესიული და მოძრავი სოლოისტი. ლეონარდი ახალი გენერაციის ბრიუს ბოუენია და ბოუენი ძველი გენერაციის სკოტი პიპენი იყო. პიპენი იჭერდა პირველ, მეორე და მესამე ნომრებს. იგივეს აკეთებდა ბოუენი. იგივეს აკეთებს და გააკეთებს პატარა კავაი. 21 წლის ტრანსფორმერი გრეგ პოპოვიჩის ახალი ნავახა, სისხლში ჩასაწობი ცივი იარაღია. ლეონარდმა პირველ რეგულარულში 7.9 ქულა, 5.1 მოხსნა, 1.3 ჩაჭრა, 1.1 პასი, მაგარი დაცვა დატოვა. "სან ანტონიომ" კალათბურთის ახალი ჯეფრი დამერი დაირტყა.

პოპოვიჩი გუნდურ ამბებზე იციკლება და ლეონარდი გუნდში გუნდურად აზროვნებს, სუნთქავს. კავაი მესამე ნომერია და თუ გრეგი მეორეზე ჩაწევს, მოწინააღმდეგის საუკეთესო შუთერებს დაიჭერს. ცუდად, მტკივნეულად დაიჭერს და პროცესი კონტაქტური, გამომწვევი, საინტერესო და აგრესიული იქნება. კავაი უქმნის დისკომფორტს რეი ალენს და კრის პოლს, პოლ პირსს და დერონ უილიამსს, ვინს კარტერს და თუ გრეგი იტყვის, დირკ ნოვიცკის. ლეონარდი შეაწუხებს კევინ დიურანს და დიურანი ჩასაგდებს მაინც ჩააგდებს. ხდება ხოლმე. კევინი დიურანია. ლეონარდმა დიურანების გაჩერება უნდა ისწავლოს. ლეონარდი დისკომფორტია. სხვებისთვის დისკომფორტი და პოპოვიჩის სადისტური გუნდისთვის, ახალი ბოუენი. ლეონარდით "სან ანტონიომ" დაცვის ბოსი მიიღო.

ტიმ დანკანი რამდენიმე სეზონის შემდეგ წავა და ტექსასში ბევრი მოგონება, დიდი დოზით პოზიტივი და ტიმის კლასიკა დარჩება. დანკანი ბილ რასელის და ბობ პეტიტის ყველაზე საინტერესო მიქსტი, კალათბურთის ისტორიაში საუკეთესო მძიმე ფორვარდი იყო. ეს იცის ტიმიმ. ეს იცოდნენ სხვებმა. ეს იცოდა კარლ მელოუნმა. ეს ახსოვს კევინ გარნეტს. ეს იცის გრეგ პოპოვიჩმა და დანკანი წამსვლელია. ტიმის კარიერა ლიგის, სპორტის პატარა პანთეონია. დიდი, საყვარელი ბიჭი სუსტი და ცუდი წერტილების გარეშე. ახალი "სან ანტონიო" კავაი ლეონარდის და ტონი პარკერის ბანდა იქნება. ტიაგო სპლიტერი ასაღებს აიღებს და ბრაზილიელი მორიდებული პერსონაჟია. ზედმეტად მორიდებული. ლეონარდი გკლავს.

ახალი სადისტი ყველაფერს ითვისებს. სადღაც ვიღაცაზე ნელი, უინიციატივოა? აღარ იქნება, გამოასწორებს. კავაის ზურგჩანთაში საკმარისი ადგილია. იქ ბევრი რაღაც ჩადის და მისტერ ლეონარდი გრეგის ნდობაში იზრდება. პოპოვიჩი პროფესორია, თავაზიანად მოგიყომარებს ყველაფერს და ცივილურად გადაგხსნის, დაგშლის, დაგმარხავს. გრეგი ლიგის ინტელექტია და ინტელექტმა ლეონარდის ნიჭი, სურვილი, ლტოლვა დაინახა და დააფასა. კავაიმ ბოუენის როლი მიიღო. კავაი როლში სტანისლავსკის მეთოდით, მიკი რურკივით, ჯერემი აირონსივით ბოლომდე უნდა შევიდეს. ბიჭი აგრესიაში ისვენებს, სხვისი ტკივილით ისვენებს. ტკივილი, რომელიც გამშვიდებს. ტკივილი ტკივილის გარეშე.

"სან ანტონიო" სეზონს დანკანით, არგენტინელი დრაჟენ პეტროვიჩით და მისტერ ლონგორიასთან ერთად გახსნის. პარკერი ამ გუნდის ჯონი ქეშია. რარაც მომენტში ტონი წაუღიღინებს Ain't No Grave Can Hold My Body Down. ქეში მუსიკის სტაბილიზატორი იყო. პარკერს მოაქვს. "სან ანტონიოც" წამოიღებს. უნდა წამოიღოს. პენსიონერების კლასიკა საინტერესო, სმენადი და თავის მუღამში, განუმეორებელია. ახალი "სპერსი" ახალ ბოუენთან, კავაი ლეონარდთან ერთად იკერება.

ეს "სან ანტონიო" ბოლო მწვანე მილზე გადის. დანკანთან, იმ ორ გენიოსთან, დეჟუან ბლერთან, სტივენ ჯექსონთან, ბორის დიაოსთან, მეტ ბონერთან, დენი გრინთან, გარი ნილთან, სპლიტერთან, ნანდო დე კოლოსთან ერთად. მოხუცების ცირკში ენერგია დარჩა და ყველაზე ენერგიული პერსონაჟი ლეონარდი იქნება. პოპოვიჩმა ძველი კრიმინალი, ედი კარიც წაიყვანა.

კავაი ლეონარდი "სან ანტონიოს" მომავალია. ტიმ დანკანის, ტონი პარკერის, ემანუელ ჯინობილის ჯაზში მომავალი ლეონარდია. მოქნილი, აგრესიული და მოძრავი სოლოისტი. ლეონარდი ახალი გენერაციის ბრიუს ბოუენი, გრეგის ნავახაა.

უცნობი
გრიგოლ
რობაქიძე

დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

გამომცემლობა არტანუჯი

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი
შემოქმედებითი მემკვიდრეობა
ქართულ ენაზე